თავი 12
ვენა: წინსვლა სამართლიანი საერთო ქალაქის შექმნის გზაზე
ელიზაბეტ ირშიკი და ევა კაილი

ზოგადი ინფორმაცია ვენის შესახებ

2009 და 2010 წლებში Mercer-ის ყოველწლიურმა საერთაშორისო კვლევამ ვენა „მსოფლიოში ცხოვრების უმაღლესი ხარისხის“ მქონე ქალაქად დაასახელა. ამ თავში განხილულია რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომლებმაც, ჩვენი მტკიცებით, გავლენა მოახდინეს ამ ქალაქში არსებული საცხოვრებელი პირობების ესოდენ დადებით შეფასებაზე. რთულია ოცწლიანი გენდერულად სენსიტიური დაგეგმარების ინიციატივების კონკრეტული შედეგების შეფასება. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ გარკვეული გავლენა იქონია ქალაქის ადმინისტრაციის ტექნიკურ განყოფილებაში არსებულმა მაღალმა სოციალურმა გათვიცნობიერებულობამ.

ვენა ხასიათდება მჭიდროდ განაშენიანებული ტერიტორიების დიდი რაოდენობით, ძირითადად დომინირებენ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობები. ქალაქის ზოგიერთ უბანში განაშენიანება ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროა ევროპაში. ეს ისტორიულად კომპაქტური ურბანული პეიზაჟი თავისი მრავალი ვიწრო ქუჩებით, რომლებიც მანევრირებისათვის მცირე ადგილს გვთავაზობენ, ამავდროულად ხასიათდება მწვანე სივრცეების დიდი წილით, რომლებიც მთლიანი ურბანული ტერიტორიის 50 პროცენტზე მეტს შეადგენენ. ეს სივრცეები ძირითადად ვენის განაპირა რაიონებში მდებარეობენ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის კარგად განვითარებულ ქსელთან ერთად, მჭიდრო განაშენიანება უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს კერძო საავტომობილო ტრანსპორტის გარეშე გადაადგილებისთვის. ვენაში 2011 წელს ყველა მგზავრობის 71 პროცენტი განხორციელდა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით, მხოლოდ 29 პროცენტი ავტომანქანით და 37 პროცენტი – საზოგადოებრივი ტრანსპორტით. დანაშაულის დონე საკმაოდ დაბალია, ხოლო უსაფრთხოების სუბიექტური აღქმა – მაღალი ასეთი ზომის ქალაქისთვის.

2011 წელს ვენის მოსახლეობა 1,7 მილიონს შეადგენდა. მრავალწლიანი სტაგნაციის შემდეგ ქალაქის მოსახლეობა პროგნოზირებულზე უფრო სწრაფად გაიზარდა. შედეგად, ვენის ურბანული განვითარება დინამიურია. ქალაქ ვენას სოციალური საცხოვრებლის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს და ვენის 900000-ზე მეტი ბინიდან 220 000

ქალაქის საკუთრებაშია. არსებული საბინაო ბაზარი შედარებით მშვიდია მთავრობის სუბსიდიების წყალობით. ახალ კორპუსებში ყველა ბინის 80 პროცენტი სუბსიდირებულია, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში წელიწადში დაახლოებით 5000 ბინის ექვივალენტია. ვენის ურბანული განახლების პროგრამების ფარგლებში ქალაქის ისტორიულ უბნებს რეკონსტრუქცია თანდათან ჩაუტარდა და მათ ახასიათებთ უბნების „რბილი“ განვითარება, რომელიც არსებული შენობის მარაგზეა დაფუძნებული. ამიტომაც ბინის ქირის საფასური, ყოველწლიური ზრდის მიუხედავად, დედაქალაქისათვის შედარებით სტაბილურია და სხვა დედაქალაქებთან შედარებით ის საკმაოდ მოკრძალებულია. ყველა ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო გენდერულად სენსიტიური დაგეგმარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

გენდერულად სენსიტიური ურბანული დაგეგმარების ოცი წელი

ვენის ადმინისტრაციამ ურბანული დაგეგმარების გენდერული ასპექტები პირველად 1991 წელს განიხილა, გამოფენის „ვინ ფლობს საჯარო სივრცეს? – ქალთა ყოველდღიურობა ქალაქში” კონტექსტში, რომლის ინიციატორები იყვნენ ურბანული დაგეგმარების სამსახურის ორი ახალგაზრდა თანამშრომელი – ევა კეილი და იუტა კლედორფერი. „ქალთა საკითხების ბიურო“ 1992 წელს შეიქმნა და თავდაპირველად მისი ამოცანა გენდერულ ასპექტებთან დაკავშირებული ურბანული დაგეგმარების საკითხების გადაჭრა იყო. მისი პირველი ხელმძღვანელი ევა კაილი გახდა. 1998 წელს ქალაქის ტექნიკური მომსახურების განყოფილებაში შეიქმნა სპეციალიზებული დაგეგმვის განყოფილება „ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და განსაკუთრებულ საჭიროებებზე ორიენტირებული ურბანული დაგეგმვისა და მშენებლობის საკოორდინაციო ბიურო“ (შემდგომში ტექსტში მოკლედ მოიხსენიება როგორც „საკოორდინაციო ბიურო“), რომელსაც სათავეში ევა კაილი ჩაუდგა. ევას საქმიანობაში ეხმარებოდნენ ორი კოლეგა: კლაუდია პრინც-ბრანდენბურგი, ლანდშაფტის დაგეგმარების სპეციალისტი, 1999 წლიდან და ელიზაბეტ ირშიკი, დაგეგმარების სპეციალისტი, 2004 წლიდან. საკოორდინაციო ბიუროს, როგორც ერთეულს მშენებლობისა და ტექნოლოგიების აღმასრულებელი ჯგუფის ფარგლებში, საკუთარი მცირე ბიუჯეტი ჰქონდა.

საკოორდინაციო ბიურომ უზრუნველყო ინსტიტუციური პლატფორმა მუნიციპალიტეტში გენდერულად სენსიტიური დაგეგმვის განვითარებისა და დანერგვისთვის. როგორც სტრატეგიული ერთეული, მშენებლობისა და ტექნოლოგიების აღმასრულებელი ჯგუფი კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს 20 ტექნიკურ ერთეულს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში. 2010 წელს აღმასრულებელი ჯგუფის

ახალმა დირექტორმა, პირველმა ქალმა, რომელმაც ეს პოსტი დაიკავა, გენდერული ექსპერტები საკოორდინაციო ბიუროდან ურბანული დაგეგმარების, საზოგადოებრივი სამუშაოებისა და მშენებლობის განყოფილებებში გადაიყვანა იმ მიზნით, რომ მათ უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ვენის ხელმძღვანელობის საკვანძო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს ყველა ჯგუფი აღჭურვილია გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით.

საკოორდინაციო ბიუროს მთავარი ამოცანა იყო პირობების გაუმჯობესება „რეპროდუქციისთვის“, ამ ცნების ფართო გაგებით, რადგანაც ამას ტრადიციულად უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე სხვა ფუნქციონალურ საკითხებს, და კონცენტრირება გოგონებისა და ქალების განსაკუთრებულ ინტერესებზე დასვენებისა და სპორტის კუთხით და მათი მობილურობის სპეციფიკურ ტენდენციებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ვენა უკვე 20 წელია ამ კურსს მიჰყვება, მუდმივად უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მხარდაჭერას და ქმნის ფართო შესაძლებლობებს ძალისხმევის პრაქტიკული განხორციელებისთვის, ეს ქალაქი ევროპაში გენდერული დაგეგმარების მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს.

საცხოვრებელი

საქმიანობის პირველი სფერო, საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოებასთან ერთად, საბინაო საკითხი იყო. დღეისათვის განხორციელდა სამი საცდელი პროექტი.

Frauen-Werk-Stadt I

საცხოვრებელი კომპლექსი Frauen-Werk-Stadt I (შემდგომში FWS I), რომელიც განლაგებულია ვენის 21-ე მუნიციპალურ რაიონში, დონაუფელდერ შტრასე 95-97-ში, დაიგეგმა და აშენდა 1992-1997 წლებში, ვენის ურბანული გაფართოების პროცესის ფარგლებში. ამ პერიოდში ტარდებოდა მრავალი ზოგადი კონკურსი ურბანული განვითარების გენერალური გეგმის ფარგლებში, ცალკეული ზონირების გეგმების შემუშავების მიზნით. კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ ექვს-რვა არქიტექტორს, მაგრამ FWS I-ს კონკურსამდე არც ერთი ქალი არქიტექტორი არ იყო მოწვეული კონკურსში პროექტის წარსადგენად. ამიტომაც საცდელი პროექტი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი იყო, რადგანაც ის ფაქტობრივად გენდერულად ორიენტირებულ პროექტებზე იყო გათვლილი და ამით ხელი შეუწყო ქალი არქიტექტორების წინსვლას. გერმანული და შვეიცარიული საცდელი პროექტების

მსგავსად, მიზანი იყო იმის დემონსტრირება, რომ ეს მოდელი ვენის კონტექსტშიც იმუშავებდა. კონკურსის ჟიურის ხელმძღვანელობდა გერმანიაში გენდერული დაგეგმარების პიონერი კერსტინ დორჰოფერი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად რვა ქალი არქიტექტორი იყო მოწვეული. არქიტექტორმა ფრანციშკა ულმანმა მოიგო კონკურსი ტერიტორიის გენერალურ გეგმაზე და მას დაევალა შენობების დაპროექტება თანადიზაინერებთან – გიზელა პოდრეჩკასთან, ელზა პროჩაზკასთან და ლიზელოტე პერეტისთან ერთად. კომპლექსი მოსახლეებს 1997-1998 წლებში ჩაბარდა. 357 ბინით, ის რჩება ევროპაში ამ კრიტერიუმით აშენებულ ყველაზე დიდ საცხოვრებელ კომპლექსად. ამ მასშტაბის საცხოვრებელი კომპლექსის პროექტში კონკურსზე პირველად მონაწილეობა დიდი გამოწვევა იყო. "ქალთა საკითხების ბიურო" აკონტროლებდა დაგეგმარების, დიზაინისა და მშენებლობის მთელ პროცესს და საკმაოდ წარმატებულად უზრუნველყო ხარისხის მნიშვნელოვანი ასპექტების დაცვა. კონკურსს შემდგომი წინსვლის კუთხითაც ჰქონდა გავლენა: მას შემდეგ რაც ევა კაილმა შეძლო დაერწმუნებინა ქალაქის ადმინისტრაცია მხოლოდ ქალი არქიტექტორებისთვის კონკურსის აუცილებლობაში, ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ ყველა სამომავლო მნიშვნელოვან კონკურსში ყოველთვის მოეწვია ერთი ან ორი ქალი არქიტექტორი.

სურ 12.1 Frauen-Werk-Stadt I

Frauen-Werk-Stadt II

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემაა ხანდაზმულთა ცხოვრება მომვლელებისა ან კოლექტიური საცხოვრებელი პირობების ხელშეწყობით. ის განსაკუთრებით აქტუალურია ქალებისთვის, ვინაიდან ასაკის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება ქალების წილი მოსახლეობაში და ხანდაზმული ნათესავების მოვლას ძირითადად ქალები უზრუნველყოფენ, როგორც პროფესიულად, ასევე ოჯახის შიგნით. ამ მიზეზით და ასევე FSW I-ის წარმატების გათვალისწინებით, საკოორდინაციო ბიურომ წამოიწყო ახალი პროექტი – 2000 წლის თებერვალში მან გამოაცხადა საგანგებო დეველოპერული კონკურსი "Frauen-Werk-Stadt II – ცხოვრება ხანდაზმულ ასაკში“ (ტროტშტრასსე 73-75, მე-10 რაიონში). საკოორდინაციო ბიურომ წინასწარი შერჩევის ეტაპზე შეისწავლა ექვს საკონკურსო განაცხადი ჟიურის კვლავ კერსტინ დოერჰოფერი ხელმძღვანელობდა. პროექტის შექმნა დაევალა არქიტექტორთა გუნდს, რომელიც აერთიანებდა ქრისტინ ცვინგლსა და „იფსითს-განჰალ-ლარხის“ საპროექტო ბიუროს. 140-ბინიანმა საცხოვრებელმა კომპლექსმა მაცხოვრებლები 2004 წელს მიიღო.

*ro*sa*

2003 წელს არქიტექტურის პროფესორმა საბინა პოლაკმა წინ კიდევ ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა. მან შეკრიბა დაინტერესებულ ქალთა ჯგუფი; მათ განიხილეს თავიანთი სურვილები და მოიძიეს შესაფერისი ადგილმდებარეობა და თანამშრომლობით დაინტერესებული დეველოპერი. ეს მომავალი მომხმარებლები მონაწილეობდნენ საცხოვრებელი კომპლექსის – „დონაუშტატის ქალთა საცხოვრებლის“ [„ro*sa“] დაპროექტებაში და ერთობლივად განსაზღვრეს პროექტის ძირითადი მახასიათებლები, როგორიცაა თაობათაშორისი და ინტეგრირებული საცხოვრებელი, კომუნალური სივრცეების ტიპი და განლაგება, ბინების ორგანიზება და სხვადასხვა ტიპის კომბინაციები.

სურ. 12.2 Frauen-Werk-Stadt II

საბინ პოლაკმა, თავის პარტნიორ როლანდ კობთან ერთად, ამ მოთხოვნების საფუძველზე შეიმუშავა მაღალი ხარისხის ფორმალური სტანდარტების მქონე პროექტ. ეს პროექტი, რომელიც 41 საცხოვრებელი ერთეულისგან შედგებოდა, მაცხოვრებლებს 2009 წელს ჩაბარდა. ხანდაზმული ქალები, რომელთაგან ზოგი ჩართული იყო ქალთა მოძრაობაში, ახალგაზრდა მარტოხელა დედები და ორი წყვილი კვლავ განაგრძობენ საკმაოდ დინამიური კომუნალურ თანაცხოვრებას საცხოვრებელ კომპლექსში.

საერთო ასპექტები

თითოეულ საცდელ პროექტს გააჩნია თავისი თემატური პრიორიტეტები. თუმცა, მათ აქვთ რამდენიმე საერთო მახასიათებელიც:

ბინები ცხოვრების ყველა ეტაპისთვის

შესაძლებელი უნდა იყოს ბინების ადაპტირება სხვადასხვა ოჯახურ მოწყობასა და ცხოვრების ეტაპებზე. ამის მიღწევა შესაძლებელია ისეთი ოთახების დაგეგმარებით, რომლებიც მრავალფუნქციურია და შესაძლებელია მათი დაყოფა ან გაერთიანება. საოჯახო სამუშაო ოთახს/სამზარეულოს უნდა ჰქონდეს ვიზუალური კავშირი სათამაშო ზონებთან როგორც ბინის შიგნით, ისე მის გარეთ. FWS I-ში ელზა პროჩაზკამ ამ მხრივ იდეალური ტიპიური განლაგება შეიმუშავა. FWS II-ში ბინების ტიპების კომბინაცია

მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თაობათაშორისი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, ხოლო ro*sa-ში ყურადღება გამახვილდა მრავალფეროვან, კომპაქტურ და, შესაბამისად, ხელმისაწვდომი ფასის ბინების სქემებზე.

სურ. 12.3 ბინის სქემატური ნახაზები, ელზა პროზაჩკას პროექტი, 85 მ2 სამზარეულოს გამჭოლი შიდა ფანჯრით, FWS I

დამხმარე სათავსოები, როგორც პრიორიტეტული საკითხი

დამხმარე სათავსოების ადგილმდებარეობას და აღჭურვილობის ხარისხს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. საცდელი პროექტების კომუნალური სათავსოები მნიშვნელოვნად უკეთესია საშუალო სტანდარტებთან შედარებით. სამრეცხაოები სახურავებზეა განთავსებული და შეთავსებულია ტერასებთან. სხვა შემთხვევებში ისინი ქმნიან გამორჩეული ელემენტებს პირველ სართულზე და მათ გააჩნიათ ვიზუალური კავშირი საბავშვო სათამაშო ოთახებთან. მაგალითად, მრავალბინიანი შენობის თითოეულ სართულზე გამოყოფილია ადგილი საბავშვო ეტლების შესანახად. ფრანციშკა ულმანმა FWS I-სათვის დააპროექტა, ხოლო კრისტინა ცვინგელის მიერ FWS-შიც შეიქმნა ველოსიპედის შესანახი ადგილები, ცალკე გამოყოფილი საგანგებო სივრცეებით საბავშვო ველოსიპედებისა და სხვა გადაადგილების საშუალებებისათვის. სამივე პროექტში გააზრებულად დაიგეგმა მიწისქვეშა პარკინგი, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ბუნებრივი განათება და

თავიდან ყოფილიყო აცილებული ისეთი ადგილების არსებობა, რომლებიც მობინადრეებში შიშს გამოიწვევდნენ.

სოციალური სივრცის მხარდაჭერა

უსაფრთხოებისთვის და სამეზობლოში სოციალური ურთიერთობებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ბინების რაოდენობას, რომლებშიც შეღწევაც შესაძლებელია ერთი კიბით. თუმცა, ამ ფაქტორს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პროექტის ღირებულებაზე. FWS I-ის შემთხვევაში ასეთი ბინების რიცხვი საშუალოდ შეადგენს 16-ს, ხოლო FWS II-ში – 22-ს, რაც ვენისთვის გამორჩეულად მცირე მაჩვენებელია. კიბეები და შესასვლელები დაპროექტდა, როგორც მეგობრული, მკაფიოდ სტრუქტურირებული ადგილები ბუნებრივი განათებით. ro*sa-ს ფართო დერეფნები დიდი ფანჯრებით და მათთან ჩამოსაჯდომებით კეთილმოწყობის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. FWS II-ში არის ოთახი მოზარდებისთვის საბავშვო სათამაშო ოთახის ქვემოთ, ორივე ოთახი აღჭურვილია ტუალეტით. თუმცა, FWS II-ში მისასვლელი დერეფნების მახლობლად არსებული საკომუნიკაციო სათავსოები არც თუ ისე მიმზიდველია. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ აივნები, სამშენებლო ნორმების შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, საჭირო გახდა მათი დერეფნებისგან გამოყოფა.

სურ. 12.4 FWS I-ის სამრეცხაო

სურ. 12.5 მიწისქვეშა პარკინგი FWS II-ში



სურ. 12.6 სართულის გეგმა საერთო ოთახით, კრისტინა ცვინგლი, FWS II

სურ. 12.7 FWS I-ის საბავშვო ბაღი

სურ. 12.8 FWS II-ის მოხუცების საცხოვრებელი მოვლის უზრუნველყოფით

ღია სივრცეების ხარისხი

მშობლებზე დაკისრებული ზრუნვის ტვირთი შემსუბუქდება, თუ მათი შვილები შეძლებენ უსაფრთხოდ თამაშს გარეთ, ავტოტრანსპორტის მოძრაობის რისკის გარეშე. ღია სივრცეების მრავალფეროვნება და მათი გამოყენების მაღალი ალბათობა ჟიურის

მიერ FWS I-ს კონკურსზე ფრანციშკა ულმანის გეგმის შერჩევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა. წლების განმავლობაში, საცხოვრებელი კომპლექსის მობინადრეთა საბჭომ გააუმჯობესა საბავშვო სათამაშო მოედნების აღჭურვილობა. ერთ-ერთი მამის ინიციატივითა და საკოორდინაციო ბიუროს მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა ცალკე „დასვენების ზონის“ შექმნა მოზარდებისათვის სათამაშო მოედნების ზონის განაპირას. დანარჩენი ორი პროექტი ნაკლებ გარე სივრცეს გვთავაზობს, მაგრამ საერთო სახურავის ტერასები გარკვეულწილად ანაზღაურებს ამ ნაკლს. კერძო ბაღების რაოდენობა შემცირდა მინიმუმამდე (ro*sa) ან ისინი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული (FWS II), ამის სანაცვლოდ, უპირატესობა ენიჭებოდა საერთო სივრცეებსა და კეთილმოწყობას.

სურ. 12.9 სათამაშო მოედანი შიდა სათამაშო ოთახის წინ ვიზუალური კავშირით საერთო სამრეცხაოსთან

სურ. 12.10 ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი დასასვენებელი ზონა FWS I-ში

სურ. 12.11 მწვანე ზონა საცხოვრებელი კომპლექის ძირითადი ღერძის გასწვრივ, საერთო ოთახების წინ მდებარე ჩამოსაჯდომი საფეხურებით, FWS I

კარგი ინფრასტრუქტურა

სამივე პროექტის ადგილმდებარეობა საგულდაგულოდ იყო შერჩეული. ტრამვაის გაჩერება უშუალოდ FWS I-ის მთავარ შესასვლელთან მდებარეობს, ხოლო დანარჩენი ორი პროექტის შემთხვევაში სამი წუთის სავალზეა ან ტრამვაის გაჩერება (FWS II) ან მეტრო (ro*sa). FWS I-ს აქვს საბავშვო ბაღი, ექიმის კაბინეტი და აფთიაქი. კომპლექსის მახლობლადაა უზარმაზარი სუპერმარკეტი, და არც სკოლებია შორს. ამგვარად,

სახლთან და ოჯახთან დაკავშირებული შრომისათვის ადამიანებს მოკლე მანძილის გავლა უწევთ, ხოლო ბავშვებს ადრეული ასაკიდან შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება. მის მახლობლობაში განლაგებული მოხუცთა სახლის მიერ უზრუნველყოფილი პროფესიონალური დახმარებითა და მოვლით სარგებლობის შესაძლებლობიდან გამომდინარე, FWS II იდეალურ საცხოვრებელ პირობებს უზრუნველყოფს შენობაში რამდენიმე თაობის ცხოვრებისათვის. გარდა ამისა, FWS II-ის მაცხოვრებლებს აქვთ საყიდლებისა და სხვა მომარაგების ობიექტების შესანიშნავი არჩევანი კომპლექსის სიახლოვეს, რაც შეეხება ro*sa-ს, მისი მიმდებარე ტერიტორია მაღაზიების თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად ხელსაყრელია

მაღალი სიმჭიდროვე

ვენა ხასიათდება განსახლების მაღალი სიმჭიდროვის პოლიტიკით, მათ შორის, ახალ ურბანულ განვითარებაში შერჩეულ ადგილებშიც. ეს ეკონომიკური წინაპირობა გათვალისწინებული იყო როგორც FWS I-ის, ასევე FWS II-ის შემთხვევაშიც. ფრანციშკა ულმანმა თავისი ოსტატობა გამოავლინა, რათა შეექმნა მიმზიდველი საჯარო და ნახევრად საჯარო სივრცეები საცხოვრებელი ფართისა და სამშენებლო უბნის ფართის თანაფარდობის (FAR) 1.9 გათვალისწინებით. FWS II-სთვის უკვე არსებობდა ზონირების გეგმა, რომლითაც ისეთივე მჭიდრო საცხოვრებელი ბლოკის მოდელი მოითხოვებოდა, როგორც მიმდებარე განაშენიანებაში. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა დეველოპერმა მოახერხა შეემცირებინა ბლოკის სამხრეთი მხარის სიმაღლე და შეძლო დაერღვია შენობების სილუეტების უწყვეტობა, რამაც საცხოვრებელ ბლოკში განათებისა და ვენტილაციის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. თუმცა ფართობის თანაფარდობა 3.3-ს შეადგენს.

ხარისხის სისტემატური შემოწმება

1995 წელს ქალაქმა ვენამ შემოიღო ხარისხის შეფასება საბინაო სუბსიდიებისათვის. ვინაიდან ვენა, როგორც ავსტრიის დედაქალაქი, ასევე ფედერალური ოლქიცაა, მის მუნიციპალიტეტს შეუძლია ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღება საბინაო სუბსიდიების გამოყენების შესახებ. დაწესდა სუბსიდიების გაცემის ახალი პროცედურები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ამ სფეროში კომერციული დეველოპერების ჩართულობა. შედარებით მსხვილ ტერიტორიებზე გათვილი სუბსიდირებული საცხოვრებლის პროექტებისთვის დაინერგა დეველოპერთა კონკურსები. ევა კაილი

კონკურსის მუდმივმოქმედი ჟიურის წევრად დაინიშნა. მცირე პროექტები ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის წარედგინებოდა ე.წ. „ქონების განკარგვის მრჩეველთა საბჭოს“ და პროექტების შიდა წინასწარი შეფასებაში გენდერის ექსპერტები ღებულობდნენ მონაწილეობას.

ამიტომ, ვენაში სახელმწიფო დაფინანსებისთვის წარდგენილი ყველა საბინაო პროექტი ფასდება იმ კუთხით, თუ რამდენად ითვალისწინებს ის ყოველდღიური ცხოვრებისა და ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციის მოთხოვნებს. იმისთვის, რომ შეფასება უფრო გამჭვირვალე გახდეს დეველოპერებისა და არქიტექტორებისთვის, საკოორდინაციო ბიურომ შეიმუშავა კრიტერიუმების სია, რომელიც ეფუძნება საცდელი პროექტებიდან მიღებულ გამოცდილებას. 1997 წლიდან შეფასებული იქნა 1000-ზე მეტი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი, რომლებიც საერთო ჯამში 88000 ბინას მოიცავდა. ეს კრიტერიუმები გადამწყვეტ როლს თამაშობს საბინაო სუბსიდიების განაწილებაში, რადგანაც მათთან შეუსაბამობის გამო წარდგენილი პროექტი შეიძლება უარყოფილი იყოს ქონების საკონსულტაციო საბჭოს მიერ, რაც საკმაოდ ხშირად ხდება. მრავალი არქიტექტორი და დეველოპერი პროექტირების პროცესში კონსულტაციისათვის გენდერის ექსპერტებს მიმართავს.

საბინაო ამხანაგობების მიერ ჩატარებულმა მომხმარებელთა გამოკითხვამ დაადასტურა დაგეგმარებისა და პროექტირების ამ კრიტერიუმების აუცილებლობა. იმის გამო, რომ ქალები, როგორც წესი, დიდ გავლენას ახდენენ საცხოვრებლის არჩევანზე თავიანთ ოჯახებში, დეველოპერების მიერ ისეთი საპროექტო გადაწყვეტილებების შეთავაზება, რომლებიც საცხოვრებელს უფრო მოსახერხებელს ხდიან მობინადრეებისათვის, ასევე დადებითად მოქმედებს მათ მიერ შეთავაზებული პროდუქტის გაყიდვადობაზე. 2009 წლიდან მოყოლებული, საბინაო სუბსიდიებზე შეტანილი სამშენებლო პროექტები ფასდება არა მხოლოდ სამი ტრადიციული კრიტერიუმით – არქიტექტურა, ეკონომიკა და ეკოლოგია, არამედ ასევე ფასდება მათი სოციალური მდგრადობის თვალსაზრისით. ეს მეოთხე კრიტერიუმი მოიცავს გენდერული პერსპექტივის ფარგლებში შემუშავებულ ძირითად მოთხოვნებს, თუმცა აუცილებელია მათი, როგორც ჟიურის მსჯელობისას ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის, ხაზგასმა.

დაპროექტებაში გენდერული ექსპერტების უწყვეტმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა პროექტირების ყოველდღიურ პრაქტიკაზე. ამჟამად მნიშვნელოვნად მეტი ყურადღება ექცევა მწვანე სივრცეების დაპროექტებას და პროცესში ლანდშაფტის დაგეგმარების სპეციალისტების ჩართულობა უკვე ჩვეული რამაა, თუმცა ამის მიღწევას მრავალწლიანი ზეწოლა დასჭირდა. საერთო ჯამში, საგრძნობლად გაუმჯობესდა წარმოდგენილი საბინაო პროექტების ხარისხი. გენდერული მიდგომა საცდელი

პროექტების ფარგლებს გასცდა და დაპროექტების ჩვეულებრივი ნაწილი გახდა. საკმაოდ მნიშვნელოვანი საბინაო სუბსიდიების განაწილებაში გენდერული ექსპერტების ჩართვა უაღრესად ეფექტური ინსტრუმენტი აღმოჩნდა საბინაო სფეროში ქალთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობისთვის.

პარკების დაპროექტება გენდერის გათვალისწინებით

გენდერული მეინსტრიმინგი ხშირად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გასათვალისწინებელია ბევრი განსხვავებული ინტერესი და ამავდროულად შეზღუდულია ხელმისაწვდომი სივრცე და ფინანსური რესურსები. ვენის მჭიდროდ განააშენიანებულ რაიონებში საჯარო ღია სივრცეების ნაკლებობის გამო, არსებულ სივრცეებში, როგორც წესი, დომინირებდა ადამიანების გარკვეული კონკრეტული ჯგუფები. გარდა ამისა, სათამაშო მოედნები ძირითადად ორიენტირებული იყო ბიჭებისა და მამრობითი სქესის მოზარდების ინტერესებზე. იშვიათად ხდებოდა იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ გოგონები დაინტერესებულნი არიან სხვა თამაშებით, სპორტის სახეობებითა და აქტივობებით და, შესაბამისად, განსხვავებული მოთხოვნები აქვთ სათამაშო მოედნის დიზაინის მიმართ.

საკოორდინაციო ბიურომ გოგონების ინტერესები მისი საქმიანობის ცენტრალურ ასპექტად აქცია. პარკის დიზაინის კონცეფცია განსაზღვრავს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების მიერ მის შესაძლო გამოყენებას. მიზანი იყო გოგოებისა და ბიჭებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება, რათა პარკები მათთვის თანაბრად მიმზიდველი გამხდარიყო და ამით გაძლიერებულიყო გოგონების ყოფნა საჯარო სივრცეში. ისევე როგორც საბინაო სექტორში, გენდერულად მგრძნობიარე პარკის დიზაინის დანერგვა ვენის ურბანულ ცხოვრებაში დაიწყო საპილოტე პროექტებით და ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარად იქმნება იდეალური სტანდარტი წარმატებული მეინსტრიმინგის პროცესისთვის.

“ქალთა საკითხების ბიუროს“ დაკვეთით, 1996-1997 წლებში ჩატარებულმა სოციალურ-სამეცნიერო კვლევამ აჩვენა, რომ გოგონები ნაკლებად დომინირებენ საჯარო სივრცის გამოყენებაში, ვიდრე ბიჭები. ათი წლის ასაკიდან საგრძნობლად მცირდება გოგონების ყოფნა პარკებსა და საჯარო მოედნებზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ თავდაჯერებულობასა და საკუთარი სხეულის აღქმაზე. უფრო მეტი ყურადღების მიქცევა გოგონების ინტერესებზე საჯარო სივრცეში და მათ მიერ სივრცის გამოყენების სპეციფიურ ტენდენციებზე აუმჯობესებს გოგონების ყოფნას და ზრდის ასპარეზს მათი აქტივობებისათვის.



სურ.12.12 აინზიდლერპარკი, საპროექტო ბიურო Tilia

ამ მიზნით გამოყენებული დაღმავალი სტრატეგიის შესაბამისად, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვენის სტრატეგიულ გეგმაში შეტანილ იქნა პროექტი „გენდერულად სენსიტიური პარკები, სპორტული მოედნები და სათამაშო მოედნები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ვენის მუნიციპალურ რაიონებში“, რომელსაც საკოორდინაციო ბიურო ხელმძღვანელობდა.

პირველი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო 1999 წელს მცირე კონკურსის ორგანიზება „აინზიდლერპარკისა“ და „წმინდა იოხანის პარკის“ (ამჟამად „ბრუნო-კრეისკის პარკი“ ეწოდება) ახლებური დიზაინისთვის. მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარდა სამოქმედო მიზნების დაზუსტების სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობდნენ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული ლანდშაფტის დაგეგმარების ექვსი ბიურო და ასევე სხვა შესაბამისი ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. ამ ეტაპზე ცენტრალური ამოცანა იყო ისეთი

სივრცითი სტრუქტურების გამოვლენა, რომლებიც განსაკუთრებით შეუწყობდნენ ხელს გოგონებსა და ქალებს, რათა უფრო ეფექტიანად გამოეყენებინათ სივრცე და წაახალისებდნენ მათ ფიზიკურ აქტივობებში ჩართვას. იმ დროს ეს სრულიად აუთვისებელი სფერო იყო. საბოლოოდ, პირველი პრიზი „აინზიდლერპარკისა“ ახალი პროექტისთვის მიენიჭა ლანდშაფტის არქიტექტურის ბიურო Tilia-ს, ხოლო „წმინდა იოხანის პარკის“ – ლანდშაფტის საკონსულტაციო ბიუროს Kose Licka-ს.

სურ. 12.13 უკეთესი ხილვადობა და გამოყენების ახალი ფორმები, „ბრუნო-კრეისკის პარკი“

ამ ორ გადაპროექტებას მოჰყვა კიდევ ოთხი საპილოტე პროექტი სხვადასხვა პარკებში, პარკებისა და ბაღების დეპარტამენტთან თანამშრომლობით. გამოიცადა დიზაინში გოგონების ჩართვის სხვადასხვა მეთოდი. აი, ერთი მაგალითი: დაპროექტებისა და მშენებლობის სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს რვა გოგონასგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც დუნაის არხის გვერდით არსებული სივრცის რეგულარული და აქტიური მომხმარებლები იყვნენ. შაბათ-კვირას გოგონებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს სამი ძირითადი მოთხოვნა: მათ სურდათ დასასვენებელი ადგილი მხოლოდ გოგონებისათვის, სათამაშო და სპორტული სივრცე, ბიჭების დომინირების გარეშე, „საკომუნიკაციო ზონა“, რომელიც ხელს შეუწყობდა როგორც ჯგუფის შიგნით კომუნიკაციას, ისე სხვა ადამიანებთან ახალი კავშირების დამყარებას.

სურ. 12.14 მონაწილეობა სემინარში, დუნაის არხი



სურ. 12.15 ფუნქციონალური გეგმა, რომელიც აჩვენებს დუნაის არხის სემინარის შედეგებს

სურ. 12.16 სათამაშო მოედანი და გამჭვირვალე ღობე, ოდეონპარკი

მეორე მაგალითი: გოგონების ჩართვა ოდეონგასეს პარკის განახლებაში. ამ ღონისძიებაში რამდენიმე ადგილობრივი სკოლა მონაწილეობდა. პროექტირების დროს გოგონებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სივრცე მკაფიოდ ყოფილიყო დაყოფილი სხვადასხვა ზონებად, რომლებიც მომხმარებლებისათვის აქტივობისა და კონფიდენციალურობის სხვადასხვა დონეს უზრუნველყოფდნენ. გენდერულად სენსიტიური თანამონაწილეობის პროექტის შედეგად, დრაშეპარკში შეიქმნა ახალი ობიექტები ბავშვებისა და მოზარდებისთვის.

სურ. 12.17 თანამონაწილეობის პროცესის შედეგად შექმნილი ახალი ობიექტები, დრაშეპარკი

სურ. 12.18 თანამონაწილეობის პროცესის შედეგად შექმნილი ახალი ობიექტები, დრაშეპარკი

ჩატარდა გენდერული სენსიტიურობის შეფასება უფრო დეტალური დასკვნების გასაკეთებლად, რომელთა შედეგებიც შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული. შეფასება მოიცავდა 14 პარკის ლანდშაფტის დიზაინის და 5 პარკის მომხმარებლებისა და სივრცული ტენდენციების ანალიზს, აინზიდლერპარკსა და ბრუნო-კრეისკის პარკში უკვე განხორციელებული საცდელი პროექტების ჩათვლით. ამის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ციკლის ფარგლებში, რომლებიც შესაბამისი დეპარტამენტების, ახალგაზრდული სამსახურების წარმომადგენელების, და საცდელი პროექტების ლანდშაფტის არქიტექტორების მონაწილეობით ტარდებოდა, საკოორდინაციო ბიურომ შეიმუშავა „საზოგადოებრივი პარკების გენდერულად სენსიტიური დაგეგმარების სახელმძღვანელო“.

სახელმძღვანელო მითითებები გენდერულად სენსიტიური პარკის დიზაინისთვის

საპროექტო რეკომენდაციების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები იყო უსაფრთხოება და ხილვადობა, ასევე, სპეციალური სივრცეების უზრუნველყოფა ისეთი აქტივობებისათვის, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებენ გოგონები (მაგ. გორგოლაჭებით სრიალი, ფრენბურთი, ბადმინტონი, უფრო მშვიდი აქტივობები დაცულ ტერიტორიებზე). ბურთის სათამაშო მოედნები დაპროექტდა როგორც ღია, საკომუნიკაციო სივრცეები. სათამაშო სივრცეები ბილიკების გასწვრივ მოეწყო, რაც მიზნად ისახავდა ყოველდღიურად პარკში გამვლელი ბავშვების აქტივობებში ჩართვის წახალისებას.

სურ. 12.19 გენდერული მეინსტრიმინგის საპილოტე პროექტის დაწყება მარიანჰილფის უბანში

პარკებში, რომლებიც მომხმარებლეთა მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევიან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი სივრცეებისა და ბურთის სათამაშო ტერიტორიების დაყოფა უფრო მცირე ქვეზონებად, რათა თავიდან იქნას აცილებული დიდი ტერიტორიების ექსკლუზიურად დაკავება ყველაზე დომინანტური ჯგუფის მიერ. ამ რეკომენდაციების შემუშავებით აღინიშნა საპილოტე ფაზიდან რეალურ განხორციელებაზე წარმატებული გადასვლა. 2007 წლიდან ეს რეკომენდაციები, ზოგად „პარკების დაპროექტების სახელმძღვანელო მითითებებთან“ ერთად, ვენის ყველა ახალი პარკის დაგეგმარების საფუძველი გახდა და სავალდებულოა ვენის მუნიციპალური პარკებისა და ბაღების დეპარტამენტის ყველა კონტრაქტორისათვის.

დიდი ხნის განმავლობაში ვენაში არ ხდებოდა მსხვილი პარკების განვითარება. მოსახლეობის დინამიური ზრდის გამო, გაჩნდა მიტოვებული ურბანული ტერიტორიების ამ მიმართულებით განვითარების ინტერესი. ეროვნული სარკინიგზო კომპანიის ფინანსურმა რესტრუქტურიზაციამ გამოიწვია ვენის დიდი სარკინიგზო სადგურების მიერ დაკავებული ფართობის მნიშვნელოვანი შემცირება. ამ ახალი ტერიტორიების განვითარების გენერალური გეგმა შეიცავდა ახალ პარკს შესაბამისი უბნებისათვის: გენდერულად სენსიტიური დაპროექტების გათვალისწინება გახდა სავალდებულო შეფასების კრიტერიუმი ორი საერთაშორისო საპროექტო კონკურსისთვის – რუდოლფ-ბედნარ-პარკის (3 ჰა) და ჰელმუტ ზილკ-პარკის (8 ჰა), რომელიც ახალი ცენტრალური სადგურის ქვეშ მდებარეობს.

გენდერული მეინსტრიმინგი ტრანსპორტის სფეროში

საჯარო სივრცის მიმართ არსებული მოთხოვნები მრავალფეროვანია და დამოკიდებულია მომხმარებლის პერსპექტივაზე, იქნება ეს მანქანის, ველოსიპედის,

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელი თუ ფეხით მოსიარულე პირი. ისინი ასევე დამოკიდებულნი არიან მოქალაქეების ყოველდღიურ რუტინაზე და მათ სოციალურ როლებზე. განსხვავება მობილურ ადამიანებსა და უმოძრაო ან ნაკლებად მოძრავ ადამიანებს შორის მუდმივად იზრდება. მობილობის მოთხოვნები ბიზნეს საქმიანობისთვის სწრაფად იზრდება და ქალაქის პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა უპასუხონ ამ ცვლილებას. თუმცა, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფა საცხოვრებლად გამოსადეგი პირობების შექმნის სხვა ასპექტების კუთხითაც. კერძოდ, მცირეწლოვანი ბავშვები, მოხუცები და ყველა, ვინც ჩართულია სოციალურად მნიშვნელოვანი ზრუნვის საქმიანობით, მყარად მიბმულია მათ საცხოვრებელ უბანზე.

სტატისტიკურ კვლევებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტრანსპორტის დაგეგმარებისთვის. ამიტომ შედარებით ადვილია ტრანსპორტის მოხმარების ტენდენციებში გენდერული და ასაკობრივი განსხვავებების დადგენა. მოდალური გაყოფა ცენტრალური სამიზნე მაჩვენებელია, რომელიც ასევე ძალიან ინფორმატიულია გენდერული სენსიტიურობის თვალსაზრისით: ფეხით განხორციელებული ყველა მოგზაურობის 56 %-ს ქალები ახორციელებენ, ხოლო მანქანით ყოველი გადაადგილების 58 % მამაკაცების მიერ ხორციელდება (სოციალური სტატისტიკური მონაცემები 2006 წ.). დიასახლისი ქალებისა და მამაკაცების გარდა, ბავშვები და მოხუცები არიან მათ შორის, ვინც ყველაზე ხშირად მოგზაურობს ფეხით.

დიდი ხნის განმავლობაში, ქვეითად გადაადგილება იგნორირებული უხილავი ზონა იყო ტრანსპორტის დაგეგმარების სფეროში. ამან გამოიწვია სტრუქტურული ხარვეზები და ბარიერები ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებისთვის, რომლებიც აქტიურ დაბალანსებას საჭიროებდნენ. საკოორდინაციო ბიუროს მიერ განხორციელებული პირველი პროექტები კონკრეტულად იყო ორიენტირებული ფეხით მოსიარულეთა ყოველდღიურ გამოცდილებაზე. დონაუერშინგენშტრასეს ქუჩის (მე-20 რაიონი) რეკონსტრუქციის პროექტისთვის დაიგეგმა თანამონაწილეობის პროცედურა, რომელიც სპეციალურად იყო ორიენტირებული ქალებზე, ბავშვებზე, ახალგაზრდებსა და მიგრანტებზე. მშობლებმა და მათმა ბავშვებმა, საბავშვო ეტლებით გამოსცადეს სხვადასხვა კიბეები და პანდუსები ვენის სხვადასხვა ლოკაციებზე, რათა დაედგინათ აღმავალი ფერდობების უკიდურესი დახრილობა და მაქსიმალური სიგრძე, რის საფუძველზეც შეიქმნა „კიბეების საბავშვო ეტლებისათვის პანდუსებით აღჭურვის სახელმძღვანელო მითითებები“.

2003 წლის ვენის ტრანსპორტის სისტემის გენერალური გეგმის მომზადებისას, საკოორდინაციო ბიურო პასუხისმგებელი იყო სამუშაო ჯგუფზე „საჯარო სივრცე და

ტრანსპორტის უსაფრთხოება“, რომელმაც უზრუნველყო ფეხით მოსიარულეთა ინტერესების ყოვლისმომცველ გათვალისწინება და წარმოადგინა დეტალური რეკომენდაციები ამ მიზნის მისაღწევად. ქალაქ ვენას ვიწრო ქუჩები ახასიათებს. შესაბამისად, დადგინდა, რომ ტროტუარების მინიმალური სიგანე 2 მ უნდა იყოს, რაც გახდა გენერალური გეგმის ცენტრალური მოთხოვნა და დღეს წარმოადგენს საპროექტო სტანდარტს ყველა ახალი სამშენებლო პროექტისთვის. 2008 წლის შეფასებისას იმავე სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა, რომ გენერალური გეგმით აშკარად გაძლიერდა ფეხით მოსიარულეთა ინტერესების დაცვა, მაგრამ ახლა მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა საჯარო სივრცის კეთილმოწყობის ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე პროექტების შედგენისას პრიორიტეტული იქნება საფეხმავლო ქსელის განვითარება მთელი ვენისთვის. პირველი კვლევა დასრულდა 2011 წელს.

ვენის სატრანსპორტო პოლიტიკა უაღრესად დეცენტრალიზებულია მეორადი გზების ქსელად. საჯარო სივრცეების დიზაინზე ფინანსური პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი ეკისრება ვენის 23 რაიონულ საკრებულოს. ასე რომ, საკმაოდ აშკარა იყო გენდერული მეინსტრიმინგის ამ დონეზე გამოცდის აუცილებლობა. 2001 წელს, „გენდერული მეინსტრიმინგისთვის საცდელი უბნების“ პროექტის ფარგლებში დაიწყეს სამეზობლო რუქების შექმნა, რომლებიც მოიცავდა ინფორმაციას ვენის ყველა მუნიციპალურ რაიონში საფეხმავლო მარშრუტების „ქსელის ხარისხსა“ და „ქსელის ხარვეზების“ შესახებ. აქ იყო ინფორმაცია საკმარისად ფართო ტროტუარების, ბორდიურების შევიწროვებებისა და გზაჯვარედინებზე შუქნიშნების არსებობის შესახებ. „ქსელის ხარვეზების“ განყოფილებაში ნაჩვენებია ისეთი ხარვეზები, როგორიცაა ტროტუარები, რომლებიც ძალიან ვიწროა, ტროტუარზე მანქანების გაჩერებით გამოწვეული დაბრკოლებები, ფეხით მოსიარულეებისათვის მაღალი რისკის ადგილები და დაზიანებული ტროტუარი. იდენტიფიცირებული იყო ისეთი მიმართულებები, როგორიცაა საბავშვო ბაღები, მოხუცთა სახლები და პარკები, მოსალოდნელი საფეხმავლო მოძრაობის მოცულობისა და კონკრეტული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით. უბნის რუქების შექმნის დანიშნულება ასევე იყო ხელის შეწყობა ადგილობრივი პოლიტიკის შემქმნელებისათვის საჭირო ღონისძიებების პრიორიტეტიზაციაში და დახმარებოდნენ მათ გაეცნობიერებინათ თუ როგორ შეიძლება ამგვარმა გაუმჯობესებამ ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის საფეხმავლო ქსელის განვითარებას. ამჟამად ამ რუქებზე მოთხოვნა კვლავ იზრდება.

სამართლიანი საზიარო ქალაქი – გენდერული მეინსტრიმინგის საპილოტე პროცესი მარიაჰილფში

2002 წელს მარიაჰილფის რაიონი აირჩიეს ვენის „გენდერული მეინსტრიმინგისთვის საპილოტე უბნად“. მარიაჰილფი პატარა, მაგრამ მჭიდროდ განაშენიანებული უბანია, რომელიც ვენის ცენტრის დასავლეთით მდებარეობს. უბანში მაღალია 12 მეტრზე ვიწრო ქუჩების წილი. ტროტუარების დაახლოებით 25 პროცენტს ჰქონდა 2 მეტრზე ნაკლები სიგანე და გზაჯვარედინების დაახლოებით 50 პროცენტი რთულად გასავლელი იყო ფეხით მოსიარულეთათვის. მე-6 რაიონში მიმოსვლაზე ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს მის ტოპოგრაფია. სიმაღლეში სხვაობა ყველაზე მაღალ და დაბალ წერტილებს შორის 31 მეტრია. მარიაჰილფში დაახლოებით 50 საზოგადოებრივი კიბე და საფეხურია, რომელთაგან 30-ზე მეტი 2001 წელს პანდუსებით არ იყო აღჭურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ მარიაჰილფი ადვილად მისადგომია საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფეხით მოსიარულეთა ინტერესები დიდწილად უგულებელყოფილი იყო. 2001 წელს მარიაჰილფის ახლად არჩეულმა მერმა, რენატე კაუფმანმა, მიზნად დაისახა რაიონში ფეხით მოსიარულეთა პირობების გაუმჯობესება. უფრო მეტიც, მარიაჰილფი ამჟამად ერთადერთი უბანია, რომელსაც საკუთარი ქალთა საბჭო აქვს. მოხდა გენდერული მეინსტრიმინგის საკითხების მნიშვნელობის გათვიცნობიერება. შემდგომი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული თემატური გასეირნებების სერია დაეხმარა საბჭოს წევრებს გარკვეულიყვნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა უსაფრთხოების სუბიექტური გრძნობა, განათება ან ბარიერებისგან თავისუფლება საჯარო სივრცეში.

პროცესში, რომელსაც საკოორდინაციო ბიურო ხელმძღვანელობდა, ჩართული იყო შვიდი მუნიციპალური განყოფილება. ყველა მათგანი პასუხისმგებელი იყო საჯარო სივრცეზე რაიონულ დონეზე. საბიუჯეტო სახსრები ურბანული დაგეგმარებისა და ქალთა საქმეთა დეპარტამენტებიდან თანმხლები კვლევების ჩასატარებლად გამოიყენეს, ხოლო პროცესის მხარდასაჭერად გარე ექსპერტები მოიწვიეს.

საპილოტე პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო რაიონში მომუშავე მუნიციპალური დეპარტამენტების წევრების თვალსაწიერის სისტემატიური გაფართოება. ჩვეულებრივ, არსებობს მნიშვნელოვანი „სისტემური“ წინააღმდეგობა ახალი ფუნქციების დანერგვის მიმართ, მაგრამ მონაწილეთა უმეტესობა ღია იყო, მოესმინა ქვეითთა პრობლემებისათვის და ჰქონდა მოტივაცია ახალი პრობლემების გადაჭრისთვის.

2004 წლის ივნისში, საწყის ღონისძიებაზე, ყველა მონაწილე დეპარტამენტს ეთხოვა, რომ ამ რაიონში მათი სამუშაო პროგრამებიდან შეერჩიათ ფლაგმანური პროექტები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების საჭიროებათა იდენტიფიკაციის მიზნით. კონსულტაციები

ჩატარდა 24 ტრეინინგის სესიის ფარგლებში რომლებიც კონკრეტულ დეპარტამენტებზე იყო მორგებული. სამმა გენდერულმა სემინარმა დეპარტამენტებს, საკოორდინაციო ბიუროსა და მრჩეველთა საბჭოს შორის გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა შექმნა. შემუშავდა კონკრეტული დეპარტამენტების სპეციფიკაზე მორგებული გეგმარების ინსტრუმენტები და პროცედურები. მაგალითად, საგზაო მშენებლობის სავალდებულო ელემენტების საკონტროლო სია მოიცავდა არა მხოლოდ ხარისხის სტანდარტებს ტრანსპორტის ცალკეული რეჟიმებისთვის, არამედ ასევე „რბილ“ ფაქტორებს, როგორიცაა მთავარი მიმართულებების გათვალისწინება შესაბამის ტერიტორიაზე და სასურველი მარშრუტები ფეხით მოსიარულეებისათვის.

სურ. 12.20 განხორციელებული ღონისძიებები, გენდერული მეინსტრიმინგის საპილოტე უბანი მარიაჰილფში

პირველ წელს, შვიდი დეპარტამენტიდან თითოეულმა, საკოორდინაციო ბიუროსა და გარე კონსულტანტებთან ერთად, შეიმუშავა შესაფერისი მეთოდები არჩეულ ფლაგმანურ პროექტებში გამოსაყენებლად. მეორე წელს, სამმა მთავარმა დეპარტამენტმა – საგზაო მოძრაობის მართვის, გზების მშენებლობისა და საზოგადოებრივი განათების დეპარტამენტებმა, ყველა ის გენდერული ღონისძიება, რომელიც მათ ფლაგმანურ პროექტებში განხორციელდა, მთელ მარიაჰილფზე განავრცეს.

სურ. 12.21 საზოგადოებრივი ლიფტი, გენდერული მეინსტრიმინგის საპილოტე უბანი მარიაჰილფში

ამ მცირე ნაბიჯების პოლიტიკამ საოცარი შედეგები იქონია; საპილოტე პროცესის ფარგლებში და შემდგომში განხორციელდა მრავალი ღონისძიება ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების გასაუმჯობესებლად. საერთო ჯამში, ღონისძიებები მოიცავდა 60-ზე მეტი გზის გადაკვეთის მოწყობას, 1000 მეტრზე მეტი ტროტუარის გაფართოებას, რამდენიმე გზაჯვარედინზე ქვეითთათვის პრიორიტეტული მოძრაობის რეჟიმის დაწესებას, ბევრ ადგილას უბარიერო დიზაინის განხორციელება მთელ ტერიტორიაზე და მრავალი დამატებითი დასაჯდობი ობიექტის დაყენება. 26 ლოკაციაზე გაუმჯობესდა განათება ფეხით მოსიარულეთათვის და გადაკეთდა სამი მოედანი. განსაკუთრებული ყურადღება პატარა დეტალებს ექცეოდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ხარისხის უზრუნველყოფა ფეხით მოსიარულეთათვის ის დროებით კონტექსტში, როგორიცაა რესტორნების გარე ზონები და გარე დახლებისა და სამშენებლო ტერიტორიის გარე სივრცეების კეთილმოწყობა.

პროექტმა წარმატებულად მოახერხა ქვეითთა საჭიროებებისა და მოთხოვნების მნიშვნელობის გათვალისწინება და ხელი შეუწყო ინტერესის ზრდას ახალი გენდერული მეინსტრიმინგის დაგეგმარების სტრატეგიის მიმართ, რომელიც მე-6 მუნიციპალური რაიონის მიღმაც გავრცელდა.

გენდერული მეინსტრიმინგის ფლაგმანური პროექტები

საკოორდინაციო ბიუროს საპილოტე საქმიანობა დადებითად იყო მიღებული, როგორც მუნიციპალური დეპარტამენტების, ასევე არჩეული წევრების მიერ. საკოორდინაციო ბიუროს ინიციატივითა და ქალაქის შესაბამისი საკრებულოს მხარდაჭერით გეგმარებისა და ტრანსპორტის რვა დეპარტამენტი 2006 წლიდან ყოველწლიურად ირჩევდა ფლაგმანურ პროექტებს გენდერული მეინსტრიმინგისთვის.



სურ. 12.22 მოგზაურობათა ციკლი – ანაზღაურებადი სამსახურისა და ოჯახის მომარაგების საჭიროებებით განპირობებული გადაადგილების შეთავსება, ლეიქ სითი ასპერნის გენგეგმა

ამ ძალისხმევების განხორციელების მიზანი იყო საჯარო მმართველობისადმი ახალი მიდგომის დანერგვა, რომელიც ეფუძნებოდა პოლიტიკოსებს, მშენებლობაზე და ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელ აღმასრულებელ ჯგუფსა და დეპარტამენტებს შორის შეთანხმებულ მიზნებზე დაფუძნებული კონტრაქტების სისტემას. დღეისათვის განხორციელდა 50-ზე მეტი ასეთი სანიმუშო პროექტი. მათში ყურადღება გამახვილებული იყო სხვადასხვა საკითხზე, დაწყებული ურბანული განვითარებით, საზოგადოებრივი შენობებისა და ახალი მეტროს ხაზების დაგეგმვით და მცირე ქუჩების განაშენიანების პროექტებით დამთავრებული. სანიმუშო პროექტებს შორის ასევე იყო ისეთი პროექტები,

რომელთა მიზანი იყო მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების (მაგალითად, ხანდაზმულების) ინტერესების გამოკვლევა და ვენაში ცხოვრების ხარისხის სოციალურ-მეცნიერული კვლევა. ამ სანიმუშო პროექტებმა შექმნეს გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დინამიკის ანალიზის, ახალი მეთოდებისა და დაგეგმარების ინსტრუმენტების შემუშავების და შედეგების ანალიზისა და მათი სხვა პროექტებზე გავრცელების საფუძველი. 2009 წლიდან შეფასების სემინარები რამდენიმე დეპარტამენტთან ერთად ჩატარდა.

სურ. 12.23 ნახევრად საჯარო სივრცეების განსაზღვრა, წინასაკვალიფიკაციო კონკურსი Nordwestbahnhof-ში

ფლაგმანური პროექტები ტრანსპორტის სფეროში

მარიანჰილფის საპილოტე უბანში შემუშავებული პროცედურები და ინსტრუმენტები თანდათან დაიხვეწა და ადაპტირებული იქნა გზის მშენებლობის პროექტების ფართო სპექტრისთვის. ერთ-ერთი განსაკუთრებით ეფექტური ღონისძიება იყო პროექტის დაწყებამდე ქვეითად მოსიარულეთათვის „ფუნქციური ესკიზის“ მომზადება. ესკიზი ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საფუძველზე გამოვლენილ „სასურველ მარშრუტებს“ აჩვენებს.

ფეხით მოსიარულეთა სხვადასხვა საჭიროებები ასევე დეტალურად განიხილეს U1 მეტროს ხაზის როტნოიზიდლამდე გაგრძელების გენერალური გეგმის შემუშავებისას. შედეგად შემუშავდა სხვადასხვა ალტერნატიული პროექტები შეზღუდული მობილურობის მქონე მგზავრების ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ეს მოიცავდა სადგურის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა მიმართულებების ხელმისაწვდომობის ანალიზს და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების შემუშავებას.

ფლაგმანური პროექტები ურბანული განვითარების სფეროში

ბოლო დროს გენდერული დაგეგმარების აქტივობები ურბანულ განვითარებაზეა ორიენტირებული. დაგეგმარების ეს დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაში: შექმნილი სტრუქტურები განსაზღვრავენ იმ გენდერული აქტივობების მასშტაბს რომლებიც გათვალისწინებული იქნება შემდგომი დაგეგმარების ღონისძიებებში. ურბანული განვითარების სანიმუშო პროექტები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ზომითა და მასშტაბით. ცალკეულ განაშენიანების კომპლექსებში დაგეგმილი ბინების რაოდენობა 700-დან 8000-მდე მერყეობდა. კორპუსების ზომა და განლაგება განსაზღვრავს ღია სივრცეების ხარისხს. სამომავლო კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია საჯარო და ნახევრად საჯარო სივრცეების ქსელი, რომელიც უმასპინძლებს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის როგორც მშვიდ, ასევე უფრო აქტიურ და ხმაურიან აქტივობებს. და ბოლოს, საცხოვრებლის სამომავლო ხარისხზე ასევე გადამწყვეტი გავლენა აქვს ურბანული განვითარების საპროექტო დავალებაში განსაზღვრულ შენობების სიმაღლესა და ნაკვეთების სიღრმეს.

იმდროინდელ ურბანული განვითარების დისკურსში იშვიათად ფიგურირებდა სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციების დაკმაყოფილების აუცილებლობის განხილვა. გენდერულად სენსიტიური დაგეგმვის შესახებ გერმანულენოვან სპეციალურ ლიტერატურაში ნაპოვნი რამდენიმე კონკრეტული მაჩვენებლის პირდაპირ გადმოტანა არარეალისტური იყო ვენის განაშენიანების მაღალი სიმკვრივის გამო. საკოორდინაციო ბიურომ და შესაბამისმა დეპარტამენტებმა შეიმუშავეს მეთოდების კომპლექსი, რომელიც ადაპტირებული მიდგომის გამოყენებას ითვალისწინებდა. მაგალითად, „ასპერნ ლეიქ სითის“ გენერალურ გეგმაში განისაზღვრა მოქალაქეთა გენდერული ფაქტორებით განპირობებული მოგზაურობის ჯაჭვები, იმის დასადგენად, თუ რამდენად დაკმაყოფილდა პროექტში „ქალაქი სადაც ყველაფერი ახლოა“ კონცეფციის მოთხოვნები (სურათი 12.10). ურბანული განვითარების კონცეფციის კონკურსის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ჩრდილო-

დასავლეთის რკინიგზის სადგურისათვის დაჩრდილვის გეგმის შემუშავება, ნახევრად საჯარო ღია სივრცეების გამოყენებადობის უკეთ შესაფასებლად. საკოორდინაციო ბიურომ ასევე შეუკვეთა ისეთი მცირე მასშტაბის სოციალური ინფრასტრუქტურის ანალიზი, როგორიცაა საბავშვო ბაღები, სკოლები და მოხუცთა სახლები, რათა ჩამოყალიბებულიყო ხარისხის კრიტერიუმები მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებით, ურბანული განვითარების სამომავლო დაგეგმარების პროცედურების დასახვეწად.

ფლაგმანური პროექტები საზოგადოებრივი შენობებისთვის

საკოორდინაციო ბიურომ ასევე განიხილა გენდერული დაგეგმარების მოთხოვნები ისეთი საჯარო შენობების დაგეგმარებისა და დიზაინის მიმართ, როგორიცაა მუნიციპალური საოფისე შენობები, სკოლები, საბავშვო ბაღები და საავადმყოფოები. მან ჩაატარა სემინარები მომავალ მომხმარებლებთან, რათა ჩამოეყალიბებინა შესაბამისი კრიტერიუმები, რომლებიც შემდგომში შეტანილი იქნებოდა დაგეგმარებისა და დაპროექტების სახელმძღვანელო მითითებებში. ეს თანამონაწილეობითი მიდგომა პირველად გამოიცადა Simmeringer Markt-ის საპროექტო დავალების მომზადებისას. ეს უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო ცენტრი, რომელშიც განთავსდებოდა სამი ადგილობრივი დაწესებულება: ბიბლიოთეკა, ზრდასრულთა განათლების ცენტრი და მუსიკალური სკოლა. მათმა ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში და დამსწრეებს მიაწოდეს კონკრეტული ადგილობრივი ინფორმაცია მათი კლიენტების მოთხოვნების შესახებ. ძირითადად ეს ეხებოდა მოსაცდელი ადგილების ზომისა და მდებარეობის, ბავშვთა მოვლის დაწესებულებების და ობიექტების გამჭვირვალობასა თუ პირიქით, გამვლელების თვალთახედვისაგან დაფარვასთან დაკავშირებულ სურვილებს.

სათანადო საგანმანათლებლო ობიექტების უზრუნველყოფა გადამწყვეტია ახალი ურბანული განვითარების ზონებისთვის, რათა გაადვილდეს ანაზღაურებადი შრომისა და არაანაზღაურებადი საოჯახო საქმიანობის შეთავსება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა საბავშვო ბაღისთვის უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი მწვანე სივრცე მოძრაობისა და თამაშისათვის. საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სივრცის ხარისხი გენდერული კუთხით უმთავრეს საკითხს წარმოადგენს. ახალი „კამპუსის კომპლექსის“ – საბავშვო ბაღისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მსხვილი კომბინირებული კომპლექსის მოდელის შემუშავებისას დისკუსიების მნიშვნელოვანი ნაწილი გენდერულად მოტივირებული გადაწყვეტილებებს ეძღვნებოდა.

სურ. 12.24 სამართლიანი საერთო ქალაქის მარიაჰილფის ბროშურა

პირველი კონკურსი ასეთი ახალი „კამპუსის კომპლექსის“ შექმნაზე , რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო დაწყებითი სკოლა 17 კლასით და საბავშვო ბაღი 11 ჯგუფით, გახდა გენდერული „სანიმუშო პროექტი“. საკოორდინაციო ბიურომ ვენის ჩრდილოეთ რკინიგზის სადგურის განვითარების ზონაში კონკურსის მოსამზადებლად რამდენიმე სემინარი გამართა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დასასვენებელი და ცირკულაციის ზონების, ასევე ღია სივრცეების სათანადო დაპროექტებას, მათ ზომებსა და მრავალფეროვნებას. კიდევ ერთი ამოცანა იყო დერეფნების გაუმჯობესება კომფორტისა და გამოყენების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

ამ პროექტისათვის გამოყოფილი სივრცის მახასიათებლებიდან გამომდინარე წარმოქმნილი შეზღუდვების გათვალისწინებისა და გაანალიზების საფუძველზე მოთხოვნები ოთახების მიმართ შეიცვალა შემდეგი, კიდევ უფრო დიდი „კამპუსის კომპლექსის“ კონკურსისთვის, რამაც უფრო მოქნილი ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობა შექმნა. ამ პროექტში დამატებით შეიქმნა 17 საკლასო ოთახი 10-დან 15 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის. ის ახალი ცენტრალური სადგურის მიმდებარე განაშენიანების ზონაში მდებარეობდა. დაინტერესებულ მასწავლებლებთან და მკვლევარებთან ერთად ჩატარებულმა სამმა სემინარმა ჩაუყარა საფუძველი იმ ამბიციური კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელიც შეტანილი იყო სატენდერო დოკუმენტაციაში და მოიცავდა გენდერულ საკითხებს. წინასწარი და საბოლოო შერჩევის ეტაპებზე ჟიურის დისკუსიებში ჩართული იყვნენ გენდერული საკითხების შიდა და მოწვეული ექსპერტები.

სოციალური სივრცის ანალიზი და „გამოყენების კომფორტის“ შეფასება

ახალი მოედნების შექმნის ან ძველი მოედნების გადაკეთების გენდერული „ფლაგმანური პროექტების“ შედგენისას მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო არქიტექტურისა და ურბანული დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით შემუშავებული „საზოგადოებრივი სივრცის შექმნის სახელმძღვანელო მითითებებში“ სოციალური სენსიტიურობის ინტეგრირებისთვის. დაგეგმვის ეს პრინციპები მოიცავდა გენდერულ გათვიცნობიერებულობისა და სოციალური სივრცის ანალიზის აუცილებლობას დიზაინისა და დაგეგმარების პროცესამდე და მის შემდეგ.

ჯგუფში, რომელმაც შეიმუშავა ეს სახელმძღვანელო მითითებები შედიოდნენ საჯარო სივრცეზე პასუხისმგებელი ყველა დეპარტამენტის წარმომადგენლები. მითითებების მომზადების პროცესი ორი წელი გაგრძელდა და ჯგუფი კვლავ რეგულარულად იკრიბება მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცოდნის გასაზიარებლად. მაიდლინგერ ჰაუპტშტრასეს კონკურსი შეირჩა პირველ საპილოტე ღონისძიებად სოციალური სივრცის ანალიზისთვის. მარიაჰილფერ პლაცლის – ვენის უდიდეს სავაჭრო ქუჩაზე მდებარე პატარა ურბანული სივრცის ახლებურად დაპროექტების შეფასება კიდევ ერთი საპილოტე ღონისძიებას წარმოადგენდა. ორივე პროექტი წარმოადგენდა ფლაგმანურ პროექტებს გენდერული კუთხით.

მაიდლინგერ ჰაუპტშტრასე

მაიდლინგერ ჰაუპტშტრასე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქუჩაა დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობით დასახლებულ რაიონში. მოსახლეობაში მაღალია მიგრანტების წილი. გადაგეგმარების კონკურსის დაწყებამდე ჩატარდა სოციალური სივრცის ანალიზი. გამოიცადა სხვადასხვა მეთოდები და შემუშავდა რეკომენდაციები მათი შემდგომი გამოყენებისთვის. შედეგები მეტად საგულისხმო აღმოჩნდა პროფესიონალი ურბანისტებისათვის; ადგილობრივი მოსახლეობა ზოგადად კმაყოფილი იყო არსებული მდგომარეობით და ფეხით მოსიარულეთა ზონებს იყენებდა არა მხოლოდ საყიდლებისთვის, არამედ დასვენებისთვისაც. ისინი შიშობდნენ, რომ თუ დიზაინი ძალიან ელეგანტური იქნებოდა, დაიკარგებოდა მაიდლინგერ ჰაუპტშტრასეს როგორც „სამეზობლოს საერთო სასტუმრო ოთახის“ ფუნქცია და გაქრებოდნენ იაფი მაღაზიები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ემსახურებოდნენ. ქუჩის მომხმარებელთა დაახლოებით მესამედი ნელა გადაადგილდება, რადგან მათ შორის ბევრი ხანდაზმული და მშობელია პატარა ბავშვებით, ახალგაზრდები კი უფრო პატარა ქუჩებს ამჯობინებენ, რათა თავიდან აიცილონ კონფლიქტი მყიდველების „ძირითად ნაკადთან“. კონკურსში ჩართული მოწვეული ექსპერტები – სოციოლოგი კრისტოფ სტოიკი და ჰეიდე სტუდერი, ფემინისტი ლანდშაფტის დამგეგმავი „ტილიიდან“, რომლებსაც დაევალათ სოციალური სივრცის ანალიზი და რომლებიც წინასწარი შერჩევის პროცესში მონაწილეობდნენ – დისკუსიების დროს სისტემატურად აცნობდნენ თავიანთ დასკვნებს ჟიურის. საბოლოოდ, საერთო თანხმობით გადაწყდა, რომ პირველი პრიზი მინიჭებოდა WES-ს, ლანდშაფტის დიზაინის საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიას ჰამბურგიდან, პროექტისთვის, რომელიც ითვალისწინებდა მრავალფეროვან, განსხვავებული მაასიათებლების მქონე მცირე სივრცეებს სხვადასხვა აქტივობებისთვის, მაგრამ „თანმიმდევრული“ ფორმალური მიდგომის გარეშე. რომ არა სოციალური სივრცის ანალიზის გათვალისწინება, საუკეთესო ფორმალური დიზაინის პროექტი გაიმარჯვებდა. ეს იყო მკაფიო სიგნალი კონკურსის კულტურის კუთხით. განსაკუთრებით საყურადღებო და სამწუხარო იყო ის, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩამოყალიბებული მკაფიო მოთხოვნები მხოლოდ გამარჯვებულმა გაითვალისწინა.

სოციალური კვლევებით მოპოვებული ინფორმაცია წარმატებულ ინტერპრეტაციას მოითხოვს

ტექნიკური დამგეგმარებლები ძირითადად მუშაობენ სახელმძღვანელო მითითებებისა და დასახული კრიტერიუმების საფუძველზე. გენდერული მეინსტრიმინგი, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომა, ჯერ კიდევ ახალია ყოველდღიურ დაგეგმარების

პრაქტიკაში. გენდერული კრიტერიუმები ხშირად „რბილი“ კრიტერიუმებია; ხშირად ითვლება, რომ ისინი საკმაოდ სუბიექტურია. ამიტომაც არსებობს მათი „მყარ“ ტექნიკურ სტანდარტებში ასახვის ამოცანა. ამ ორი მხარის წარმატებით დაკავშირება გამოწვევას წარმოადგენს. იქ, სადაც სოციალური მოთხოვნები და შედეგები თავიდანვე განიხილება, გენდერული პერსპექტივა იძლევა დამატებით ინსტრუმენტს ხარისხის იმ კრიტერიუმების გამოსაყოფად, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. როდესაც დაგეგმარების ეტაპზე სოციალური ინფორმაცია შეზღუდულია და მომავალი მომხმარებლების ინტერესები არ არის საკმარისად გამჭვირვალე, გენდერული მეინსტრიმინგი არსებულ სტრუქტურებს გადაჭარბებული მოთხოვნების წინაშე აყენებს.

პრინციპში, მუნიციპალურ დაგეგმარებაში გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვა კონფლიქტებს იწვევს. დეპარტამენტებისგან მოითხოვენ ტექნიკური სტანდარტების დაცვასა და ხარჯების შემცირებას და ამავდროულად ხარისხის უზრუნველყოფას. დაგეგმვისთვის ახალი კრიტერიუმებისა და პერსპექტივების დანერგვა, რაც გამოავლენს არსებულ ნაკლოვანებებს და პოტენციურად ახალ გამოწვევებს წარმოშობს, ან თუნდაც აქცენტების შეცვლის აუცილებლობაზე მიუთითებს, ბევრ შემთხვევაში უდავოდ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდება. უფრო მეტიც, წარმატების შანსები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს დაგეგმვის მატერიალური გავლენა პოლიტიკის სხვადასხვა დონეზე და სფეროზე, ასევე პიროვნულ ღირებულებებსა და ინდივიდუალურ მიდგომებზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა ჰოლისტიკურმა მიდგომამ, რომელიც პოლიტიკის ყველა დონეზე იყო ინტეგრირებული, განაპირობა ცვლილებები პრაქტიკაში და პროცედურებში. ჩვენ მოვუწოდეთ კოლეგებს სხვადასხვა დეპარტამენტებიდან, სისტემატიურად „დააყენებინათ საკუთარი თავი სხვის ადგილზე“ და ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანია ვენდოთ ადამიანების ყოველდღიურ გამოცდილებისა და შეფასების უნდარს, იმ შემთხვევებში როდესაც მონაცემების ნაკლებობას ჰქონდა ადგილი, როგორც ეს ხშირად მომხდარა.

სწავლა მომხმარებლის გამოცდილებიდან

დაგეგმარების ღონისძიებების „გენდერული ანაბეჭდის“ იდენტიფიცირება ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. ამოცანა გენდერულად დაბალანსებული

ქალაქის ასაშენებლად აუცილებელი „სამშენებლო ბლოკების“ შემუშავებაში მდგომარეობს. გენდერული დაპროექტების, როგორც „სწავლის სისტემის“ ჩამოსაყალიბებლად, ჩვენ ჩვენი ცოდნა უნდა გავაუმჯობესოთ. ფიზიკური სივრცის დაპროექტებამდე აუცილებელია სოციალური სივრცის ანალიზი. ქალაქის მასშტაბით ხარისხის უზრუნველყოფა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ღია სივრცეებისთვის საჭირო კვადრატული მეტრების უბრალო განსაზღვრაზე უფრო მეტს მოითხოვს. გენერალურ გეგმაში სოციალური ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი ტერიტორიების იდეალური ფორმის დასადგენად, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ პერსონალისა და ბავშვების მოთხოვნებს (მაგალითად, არსებობს თუ არა გოგონებსა და ბიჭებს შორის გამოყენების განსხვავებული ტენდენციები?) და განვიხილოთ, თუ როგორ არის ორგანიზებული ცხოვრება ამ დაწესებულებებში, რათა განისაზღვროს სათამაშო ინფრასტრუქტურის დაპროექტებისას საჭირო და სასურველი ელემენტები. საცხოვრებლის ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს ბინების ისეთი განლაგების მოძიებას, რომელიც საუკეთესოა მომხმარებლის თვალსაზრისით (არა მხოლოდ ფუნქციონალური კუთხით) და რომელიც შეიძლება შეიქმნას ჩვეულებრივ პირობებში პროექტის მთლიანი ფართობის, დაფინანსების რეჟიმისა და მშენებლობის ხარჯებიდან გამომდინარე.

ახალი ინსტრუმენტები

მრავალი საბაზისო კვლევის, ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული სემინარისა და მობინადრეთა შენობის ჩაბარების შემდგომი შეფასებების გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბდა ხარისხის სხვადასხვა მოთხოვნები, ურბანული დაგეგმარებასთან დაკავშირებული კომპონენტების დიდი რაოდენობით. ერთ-ერთი გამოწვევა იყო ამ მოთხოვნების ისე ჩამოყალიბება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი გამოყენება ყოველდღიურ ადმინისტრაციულ ამოცანების შესულებისას და შემუშავებულიყო მათ განხორციელებაზე ორიენტირებული მეთოდები. ვინაიდან „საუკეთესო პრაქტიკის“ საერთაშორისო გამოცდილება ასევე ძალიან მცირე იყო, ფლაგმანური პროექტებისთვის ჩვენ საკუთარი ინსტრუმენტები და მეთოდები შევიმუშავეთ. წლების განმავლობაში ეს „ცოდნის ფონდი“ იზრდებოდა.

ცალკეულ დეპარტამენტებთან თანამშრომლობით შემუშავებულ „ინსტრუმენტების ნაკრებებში“ ინსტრუმენტების ფართო დიაპაზონია, საცხოვრებლის კრიტერიუმების ჩამონათვალით და ზემოთ განხილული პარკის გენდერულად სენსიტიური დიზაინის რეკომენდაციებით დაწყებული და ფუნქციონალურად გამართული შენობების მიმართ არსებული მოთხოვნებითა და უსაფრთხო ქალაქისა და უსაფრთხო საცხოვრებელი კომპლექსების შექმნის სახელმძღვანელო მითითებებით დამთავრებული. „ინსტრუმენტების ნაკრებები“ შემუშავდა სატრანსპორტო მოძრაობის მართვის

სექტორისთვისაც, მაგალითად მოთხოვნები მოედნების დაპროექტების მიმართ, გზების მშენებლობის სავალდებულო ელემენტების საკონტროლო ჩამონათვალი და საპროექტო სტანდარტები, გარე დახლებისა და რესტორნების გარე ტერიტორიების მოწყობისა და შუქნიშნების ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებები. გამოიცა „გენდერული მეინსტრიმინგის გზამკვლევი“, რაც მეთოდოლოგიურ მიღწევებს უფრო ფართოდ ხელმისაწვდომს გახდის და სასწავლო აქტივობების ფართო სპექტრის საფუძველი გახდება.

დადასტურებულია სოციალური სივრცის ანალიზის მნიშვნელობა და ის დაინერგა ზოგად პრაქტიკაში. მომხმარებელთა ჯგუფების დიფერენციაციის შედეგად, გენდერული ასპექტები თითქმის „ავტომატურად“ გამოვლინდა. სოციალური სივრცის ანალიზი პოპულარული გახდა და დაგეგმარების სხვადასხვა დეპარტამენტმა ნებაყოფლობით, ყოველგვარი დავალების გარეშე დაიწყეს მისი გამოყენება. ამჟამად მზადდება სოციალური სივრცის ანალიზის სახელმძღვანელო, რომელშიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა შეხამებულია ვენის გამოცდილებასთან და ასევე არსებობს შეთავაზება თანამონაწილეობის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ, რომელშიც ასევე იქნება გათვალისწინებული გენდერული პერსპექტივა.

მეინსტრიმინგის კონკურსები

გენდერული საკითხების მზარდი მნიშვნელობისა და მრავალ წამყვან პროექტში ჩართულობის შედეგად, ევა კეილმა, ელიზაბეტ ირშიკმა და კლაუდია პრინც-ბრანდენბურგმა მონაწილეობა მიიღეს დაგეგმვისა და ურბანული დიზაინის სხვადასხვა დონეზე ჩატარებული კონკურსების უმეტესობაში. როგორც ჟიურის წევრები, კონსულტანტები ან წინასწარი გადარჩევის ჯგუფის ჩვენ ღრმად გავეცანით ამ უნიკალურ კულტურას.

ამჟამად ვენაში დაგეგმვისა და დიზაინის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი კონკურსის გზით წყდება. გენდერული თვალსაზრისით, ამას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ჟიურის დისკუსიები ხშირად საკმაოდ ხანმოკლეა. სხვადასხვა საკონკურსო ნამუშევრის ესთეტიკური ღირებულება შეიძლება ინტუიციურად შეფასდეს; ისეთი ფუნქციური ასპექტების ანალიზი, როგორიცაა მგზავრობათა ჯაჭვი, ბევრად უფრო რთულია ჟიურის განხილვისათვის გამოყოფილ შეზღუდულ დროში. ხშირად პოტენციური მომხმარებლების ჯგუფები პროექტისთვის არც კი არის ცნობილი. ძალიან ხშირად არსებობს გადაჭარბებული მოთხოვნები იმის გაანალიზების მიმართ, თუ მომხმარებლების სხვადასხვა პოტენციური ჯგუფების რომელ ინტერესებია დაკმაყოფილებული პროექტში

და რომელი – არა, და თითოეული განაცხადის სოციალური შედეგების და ზემოქმედების შეფასების კუთხით.

ამიტომ საჭიროა დამკვიდრდეს თავად კონკურსების ახლებური კულტურა. გამოცხადებული ტენდერი უკვე უნდა შეიცავდეს გენდერულად სენსიტიურ სოციალურ ანალიზს. მეტი დრო და მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წინასწარ შეფასებას. ვიზუალიზაცია მნიშვნელოვანია, რადგანაც გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჟიურის სხდომების დროს არავინ კითხულობს გრძელ წერილობით ახსნა-განმარტებებს, ხოლო არქიტექტორები და დამპროექტებლები „ვიზუალური ცხოველები“ არიან. „სოციალური დაზვერვის მონაცემების“ ფლობა უნდა მოითხოვებოდეს არა მხოლოდ განაცხადებისგან, არამედ ჟიურისგანაც, რადგან ჟიურის შემადგენლობა და მასში წარმოდგენილი ექსპერტიზის ტიპი მნიშვნელოვან სიგნალს უგზავნის მონაწილეებს.

კონსერვატიული ფემოკრატები თუ ფემინისტური KISS სტრატეგია[1]?

ზოგჯერ ჩვენ, განსაკუთრებით უნივერსიტეტებში გამართულ დებატების დროს, გვადანაშაულებდნენ ტრადიციული გენდერული როლების კონკრეტიზაციაში, იმიტომ რომ ხაზს ვუსვამთ არანაზღაურებად სამუშაოს მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, არაანაზღაურებადი სამუშაოს სივრცითი მოთხოვნების გენდერული დინამიკის კონტექსტში პოპულარიზაციის კრიტიკა პოლიტიკურ უკურეაქციას წარმოადგენს. შეუძლებელია ქალთა და მამაკაცთა შორის სამუშაოს კუთხით არსებული პროპორციულ სხვაობაზე ზეგავლენის მოხდენა სივრცით დონეზე, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა შევქმნათ არანაზღაურებადი სამუშაოსთვის კარგი სამუშაო პირობები სივრცითი თვალსაზრისით. თუმცა, ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ისეთი ტერმინებს, როგორიცაა „ქალებისთვის მოსახერხებელი“, რადგანაც ეს შეიძლება აღქმული იყოს როგორც სიმბოლურ დონეზე ტრადიციული როლების კონსოლიდაციის მცდელობა.

მსხვილი ინსტიტუტის ფარგლებში მუშაობა მოიცავს გარკვეულ სტრესს, მაგრამ ასევე პოტენციალსაც. საჯარო სამსახურში მყოფ ადამიანებს ხშირად უწევთ გამკლავება ძალიან რთულ წესებთან, რეგულაციებთან და იერარქიასთან, რესურსების (ძირითადად ფინანსური, მაგრამ ასევე დროის) მუდმივი შეზღუდულობის პირობებში. ჩვენ უნდა გამოვავლინოთ ყველაზე მნიშვნელოვანი გენდერული საკითხები და ინტერესები და შევეცადოთ, რომ შევამციროთ დისბალანსი. ინსტიტუციურ გარემოში რეალური ცვლილებების მისაღწევად აუცილებელია ისეთი რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც ყოველდღიური საქმიანობისთვის სასარგებლოდ ჩაითვლება.

[1] KISS (აკრონიმი "Keep It Simple, Stupid"-„მარტივად ქენი, სულელო“

ღრმა ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დახვეწილი დასაბუთება შეიძლება საინტერესო იყოს აკადემიური დისკუსიებისა და საპილოტე პროექტებისთვის, მაგრამ არა მეინსტრიმინგისთვის. ზედმეტი სირთულეების შექმნის შედეგად სუსტდება ზემოქმედების ეფექტი. რა თქმა უნდა, უსარგებლოა ჯიუტი „მამაკაცური ხედვის“ მქონე ტექნიკური სპეციალისტებისთვის იმის ახსნა, რომ გენდერული როლები მუდმივი დივერსიფიკაციისა და ცვლილების მდგომარეობაშია. პრაქტიკული დაგეგმვის ქაოსში თქვენი კოლეგებისთვის უნდა განუმარტოთ, რა უნდა შეცვალონ მათ მიდგომებში პოლიტიკის, პროცედურების და დაპროექტების კუთხით, გენდერული თანასწორობის მიღწევას ხელშესაწყობად საბოლოო მატერიალური შედეგის დონეზე.

პოპულარიზაცია, როგორც ძირითადი საქმიანობა

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული მეინსტრიმინგი თავისთავად აშკარა ტერმინი არ არის. გამოთქმა „სამართლიანი საერთო ქალაქი“, რომელიც მარიაჰილფში საპილოტე პროცესის შედეგად წარმოიშვა, მნიშვნელოვანი იყო ზოგადი ბრენდინგისთვის. მრავალი სარეკლამო აქტივობის დროს ჩვენი მიზანი ყოველთვის იყო, გამოგვეყენებინა ენა, რომელიც ადვილად გასაგები იქნებოდა დამატებითი ახსნა-განმარტების საჭიროების გარეშე, მაგრამ რომელიც არც ზედმეტად გამარტივებული იქნებოდა.

სამი გამოფენა, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები საინფორმაციო პროსპექტების, ბროშურებისა და ბუკლეტების სახით და DVD-ები მოკლემეტრაჟიანი ფილმებით, რომლებიც საკვანძო პროექტების უკეთეს ვიზუალიზაციას უზრუნველყოფდნენ, დაგვეხმარა ჩვენი საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტები ასევე ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე. ინტერნეტში 2007 წლიდან ფუნქციონირებს ვებგვერდი, სადაც მოცემულია ინფორმაცია საკოორდინაციო ბიუროსა და მისი მიმდევრების ყველა საქმიანობის შესახებ.

დიდ გამოწვევას წარმოადგენს თავად მუნიციპალური კადრების მოტივაცია და გადამზადება. ხანდახან სხვადასხვა დეპარტამენტებში მომუშავე ადამიანებს უჭირდათ ზოგადი ტრენინგების დროს მიეღოთ გარე ექსპერტები, რომლებსაც მცირე ცოდნა ჰქონდათ საჯარო ორგანოს სამუშაო პირობების შესახებ. ასეთ სიტუაციებში ყოველთვის არსებობს მორალიზმში გადავარდნის რისკი. სწორედ ამიტომ ავირჩიეთ სამსახურებში ტრენინგის ჩატარება ფლაგმანური პროექტების დროს. პრაქტიკული მაგალითები ყოველთვის ყველაზე დამაჯერებელია. როგორც წესი, ძნელია ერთი შეხედვით განისაზღვროს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად საჭირო კონკრეტული

ძალისხმევების დიაპაზონი. ის ცხადი ხდება მხოლოდ მიმდინარე დაგეგმარების ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დროს. მარიაჰილფის განვითარების პროცესის განმავლობაში გენდერული სემინარები და პრესტურები ხელს უწყობდა ინოვაციურ თანამშრომლობას ძალისხმევებში ჩართულ თანამშრომლებს შორის.

ზოგადი ტრენინგისთვის შემუშავდა უფრო „სახალისო“ ფორმატები, როგორიცაა დაგეგმარების თამაში-სიმულაცია „გენდერული ქალაქი“ და ფორუმ-თეატრი „გენდერი ქალაქში“, რომელიც გამიზნული იყო პროფესიონალი და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პოლიტიკოსებისა და სტუდენტებისთვის. კერძოდ, ბალბოას მიერ შემუშავებული ფორუმ-თეატრი განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანდა. წლების განმავლობაში განვითარდა საერთაშორისო ქსელი. ევა კაილი იყო გერმანიის ეროვნული კვლევითი პროგრამის „ექსპერიმენტული საცხოვრებელი და ურბანული განვითარება“ ფარგლებში ორწლიანი კვლევითი პროექტის „გენდერული მეინსტრიმინგი ურბანულ განვითარებაში“ მრჩეველთა საბჭოს წევრი.

მოხდა იდეების ნაყოფიერი გაცვლა, განსაკუთრებით მიუნხენისა და ბერლინის დაგეგმარების ადმინისტრაციასთან. ასევე ბევრმა სხვა უცხოურმა მუნიციპალიტეტმა და უნივერსიტეტმა გამოხატა ინტერესი ვენის გენდერული დაგეგმვის აქტივობების მიმართ.

შედეგები და გავლენა

სხვადასხვა საპილოტე და ფლაგმანურმა პროექტმა, რომლებიც ძალიან განსხვავებულ დონეებსა და დაგეგმარების ეტაპებზე ხორციელდებოდა, საკოორდინაციო ბიუროს წევრებს მისცა ასეთ დიდ და, შესაბამისად, ფრაგმენტულ ინსტიტუტში ძირითადი აქტივობებისა და ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ თანამშრომლობის კარგი სურათი. ვცდილობდით რა, დაგვეცვა გენდერულად სენსიტიური განვითარების მიზნები, ჩვენ ხშირად ვკისრულობდით ხარისხის ზოგადი მაკონტროლებლებისა და შემფასებლების როლს. ხშირად, მარტივი კითხვებისა და განვითარების ფუნქციონალური ასპექტების გათვალისწინება, რომლებიც აშკარაა გენდერული სენსიტიური მიდგომის შემთხვევაში, სისტემატურად იგნორირდება ან ძალიან ზედაპირულად განიხილება ზოგადი დაგეგმარების დისკურსის ფარგლებში.

„სამართლიანი საერთო ქალაქის“ პროექტმა აჩვენა, რომ დაგეგმარების ყველა სფეროსა და დეპარტამენტში შესაძლებელია მთელი რიგი ქმედებების, ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენება. როგორც წესი, დაგეგმვის პოლიტიკაში, ზოგადი დაგეგმარების სახელმძღვანელოში ან თუნდაც გენერალურ გეგმებში მწვანე სივრცეებსა

და სათამაშო მოედნებზე მოთხოვნის ნაკლებობა არ არის. ასე რომ, ხშირად არც ისე რთულია გონიერი გენდერული საკითხების განხორციელება მოქმედების ამ დონეზე. თუმცა, უფრო კონკრეტული ქმედებებისთვის, როდესაც საქმე ეხება საჭირო ტერიტორიებისა და ადგილების შეძენას და საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფას, გენდერული მიკერძოება უფრო შესამჩნევი ხდება. არ იყო ადვილი სტრუქტურულ დონეზე „დიდ საკითხებზე" ზემოქმედება, როგორიცაა მიწის პოლიტიკა ან დამატებითი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ვენაშიც კი.

საშუალო დონეზე, გენდერული დაგეგმვის გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვამ გააუმჯობესა ურბანული დაგეგმარების პროცესების სოციალური საფუძვლების გააზრება. დაპროექტების ეტაპზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურადღება სივრცის გამოყენებადობის ასპექტებზე. ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო გენდერული კრიტერიუმების „გარდაქმნა" ანუ ინტერპრეტაცია ზოგადი ტექნიკური სტანდარტების დონეზე. ეფექტურ კომუნიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საკოორდინაციო ბიუროს ყველა საქმიანობაში. ჩვენს პრაქტიკაში დაინერგა კომუნიკაციური დაგეგმვის კონცეფციის დიდ ნაწილი. დიალოგზე ორიენტირებული დაგეგმვის კულტურა მნიშვნელოვნად ზრდის გენდერული მეინსტრიმინგის შანსებს.

უტოპიის ტესტირება და მასში ცხოვრება

საკოორდინაციო ბიურო პატარა, მაგრამ პროდუქტიული განყოფილება იყო, რომელსაც გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მაღალი ხარისხი ახასიათებდა. სამმა დამგეგმარებელმა ქალმა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მჭიდროდ მუშაობდნენ, შექმნეს ჩართულობისა და თანაგრძნობის ატმოსფერო დიდი პირადი პატივისცემითა და ნამდვილი გუნდური მუშაობით. ჩვენ განვავითარეთ მსგავსად აზროვნება და იუმორის გრძნობა. ჩვენი ძლიერი პირადი ურთიერთობები საშუალებას გვაძლევდა, გავმკლავებოდით უსიამოვნო სიტუაციებს და შეგვენარჩუნებინა პროდუქტიულობა. ყველა საპილოტე პროექტი არ იყო სრულად სასიამოვნო, რადგან ზოგჯერ თანამშრომლობა საკმაოდ უცოდინარ კოლეგებთან გვიწევდა. მაგრამ განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წელი ნამდვილი „მოსავლის აღების" პერიოდი იყო, როდესაც საკოორდინაციო ბიუროსთან კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მოთხოვნამ გადააჭარბა იმ შესაძლებლობებს, რაც შეგვეძლო შეგვეთავაზებინა.

საკოორდინაციო ბიუროს წარმატება ასევე განაპირობა იმან, რომ ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, მან შეძლო უწყვეტად ემუშავა 11 წლის განმავლობაში. ამას

ასევე ხელი შეუწყო საკოორდინაციო ბიუროს ოფიციალური პოზიციის ამაღლებამ ქალაქის ადმინისტრაციის იერარქიაში. ამან მოგვცა დიდი პრაქტიკული გამოცდილება „ინსაიდერულ“ ცოდნასთან ერთად და შესაძლებლობა, გარე მხარდაჭერა გამოგვეყენებინა სემინარების მოდერაციისა და დაგეგმარების პროცესის სხვა ასპექტებში.

საკოორდინაციო ბიურო ყოველთვის გარკვეულწილად დიალექტიკურ მდგომარეობაში იყო. პოტენციური პირდაპირი ზემოქმედება და გამოყოფილი თანხების ოდენობა საკმაოდ მოკრძალებული იყო, მაგრამ „ძალაუფლების სტრუქტურაში“ ფორმალურად ინტეგრირება ზოგჯერ სასარგებლო იყო, განსაკუთრებით ტექნიკურ განყოფილებებთან მოლაპარაკებებისთვის. ჩვენი არაფორმალური გავლენა საკმაოდ მაღალი იყო ჩვენი მიმოხილვის ძალისხმევების, წარმატებული პარტნიორების ქსელისა და "კარგი პრაქტიკის" მრავალი დამაჯერებელი მაგალითიდან გამომდინარე. პირველ პერიოდში დასრულებულ ფლაგმანურ პროექტებზე ფოკუსირების გადაწყვეტილებამ ძალისხმევის როგორც ხარისხი, ასევე მიზანშეწონილობა დაადასტურა. საბედნიეროდ, პირველმა საპილოტე პროექტმა Frauen-Werk-Stadt I-მა შთამბეჭდავი გამოხმაურება გამოიწვია მედიაში და მაცხოვრებლებისა და მათი მეზობლებისგან მაღალი შეფასება მიიღო. ადგილობრივი მედიის პოზიტიურმა გამოხმაურებამ და საერთაშორისო დაინტერესებამ წაახალისა პოლიტიკოსები და მათ საშუალება მოგვცეს გაგვეგრძელებინა ჩვენი სამუშაო, რადგანაც ისინი ენდობოდნენ ჩვენს შეთავაზებებს.

საკოორდინაციო ბიურო გარკვეულწილად ფემინისტური უტოპია იყო, რომელიც განხორციელდა მამაკაცების მიერ დომინირებულ დიდი ინსტიტუტის სტრუქტურაში და შესაძლებელი გახდა სოციალ-დემოკრატი ქალი პოლიტიკოსების, ორი მამაკაცი დაგეგმარების მრჩევლისა და ორი მამაკაცი დაბინავების მრჩევლის, როგორც აქტიური მენტორების, პოლიტიკური მხარდაჭერით. ამ სიტყვების დაწერის მომენტისათვის, დაგეგმარების განყოფილების ახალი ქალი თავჯდომარე მწვანეთა პარტიიდან ჯერ კიდევ თანამდებობაზეა და ჯერ ნაადრევია მისი მხარდაჭერის დონის შეფასება.

გარდამავალ პერიოდში დაკარგული თუ წარმატებული მეინსტრიმინგი?

ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ მხოლოდ ზემოდან ქვევით მართვის მიდგომა არ მოიტანდა დამაკმაყოფილებელ შედეგებს ამ ჯერ კიდევ ექსპერიმენტულ სფეროში. ამ თავის დასაწყისში ნახსენები რეორგანიზაციის განხორციელებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ რთულია მისი შედეგების შეფასება. შეუძლებელი იყო საკოორდინაციო ბიუროს კულტურის უბრალოდ გადაცემა დეპარტამენტებსა და ცენტრალურ ადმინისტრაციას შორის მეკავშირე ფუნქციით. საკოორდინაციო ბიუროს, როგორც

სპეციალური დანაყოფის უპირატესობა, უდავოდ მდგომარეობდა იმაში, რომ ის „გენდერული დაგეგმვის საკითხების სახე“ იყო. მისი ხილვადობა აშკარად შემცირდა. ახალ სტრუქტურაში გაქრა ქალთა ბიუროს სამდივნო და ფინანსური მხარდაჭერა. წარმატებული გუნდის დაყოფის გამო მისი ყოფილი წევრების ინდივიდუალური მოტივაციაც შესუსტდა.

საკოორდინაციო ბიურომ, ეფექტიანად გამოიყენა რა თავისი არაფორმალური მოქმედების სფერო, გვაჩვენა „შესაძლებლობებათა სივრცე“. ამჟამინდელი გამოწვევა ზოგადი დაგეგმარების აქტივობების მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაციაა. ახალი სტრუქტურა ყველა ძირითადი აქტივობისა და მიდგომის სრულ და უფრო რეალისტურ ანალიზის საშუალებას უზრუნველყოფს. თეორიულად, რეორგანიზაციას მისი გავლენისა და შედეგების გავლენის გაფართოების პოტენციალი გააჩნია და საუკეთესო შემთხვევაში პასუხისმგებლობის განაწილებამ შეიძლება გააძლიეროს ძალისხმევების შედეგად მიღწეული ეფექტი.

აღმასრულებელი ბიუროს სამოქმედო ჯგუფების ძირითად სტრუქტურაში ინტეგრაცია, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც, ამ კუთხით აქტივობების უფრო ფართო სპექტრის განხორციელების, საკონტაქტო ქსელის ჩამოყალიბებისა ან სტრუქტურული და ინდივიდუალური დაბრკოლებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიკაციას აადვილებს. თუმცა, წარმატება დამოკიდებული იქნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული ლიდერების მხრიდან მხარდაჭერის გაცილებით მაღალ ხარისხზე და თუ ის საკმარისად ძლიერი არ აღმოჩნდება, ცალკეული ექსპერტების არსებული მიღწევებსა და გავლენას „მამაკაცური ნაკადის“ რეალობაში დაკარგვის საფრთხე დაემუქრება.

მეინსტრიმი ნეოლიბერალური ზეწოლის ქვეშ

დიდი ინსტიტუტის ფარგლებში ოპერირება მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობას გულისხმობს. ურთიერთდამოკიდებულებები და ურთიერთქმედება ძალიან რთულია. მეინსტრიმს ისტორიულად ახასიათებს სამხედრო სტრუქტურიდან ნასესხები ფორმალური იერარქიით. ამჟამად მთავრობაზე დიდ გავლენას ახდენს „ახალი საჯარო მმართველობის იდეოლოგია“. მისი, როგორც გენდერული მეინსტრიმინგის საფუძვლის ზეგავლენა შეიძლება ორაზროვნად შეფასდეს: ერთის მხრივ, ხარჯების შემცირება ფარულ ან აშკარა დღის წესრიგს წარმოადგენს, რაც იწვევს მრავალი ეკონომიკური ინდიკატორის გამოყენებას ისეთ კონტექსტში, სადაც საერთო კეთილდღეობა არ არის ასე ადვილად გაზომვადი მოგების ფორმით. ძველ, საკმაოდ ხისტ ფორმალურ

სტრუქტურებთან კომბინაცია იწვევს ანგარიშგების სისტემის გადატვირთულობას, რაც იშვიათად იძლევა რეალური სიტუაციის ასახვის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, გენდერულ ასპექტებთან მიმართებაში, მომხმარებელზე ორიენტაცია ძალზე სასარგებლოა და მოითხოვს საჭიროებებისა და პროდუქტების დიფერენცირებულ ანალიზს, სამიზნე ჯგუფების მიხედვით.

გამოწვევები

იმისთვის, რომ უკეთ იყოს გათვალისწინებული მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები და შესაძლებელი იყოს შემდგომში ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების დონის მიზანშეწონილობის შეფასება, აუცილებელია უფრო დეტალური და დიფერენცირებული კვლევების ჩატარება. შესაბამისად, იზრდება დრო რომელიც ამ ძალისხმევებს დასჭირდება, პირველ ეტაპზე მაინც. ეს მნიშვნელოვნად სცდება დაგეგმვის ორგანოს ჩვეული „საქმიანობის ჩვეულ პრაქტიკას“. ამ ახალი და რთული პასუხისმგებლობების დანერგვა იმ დროს, როდესაც ძირითადი აქტივობების რაციონალიზაციაა საჭირო, არ იწვევს დიდად კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას და ამიტომ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მხარდაჭერას და დასაბუთებას მოითხოვს.

ამჟამინდელი ეკონომიკური ვითარების გავლენა, რომელიც სავარაუდოდ სახელმწიფო დაფინანსების შემცირებას გამოიწვევს, ვენაშიც იგრძნობა. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც უნდა შემუშავდეს სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ცხოვრების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას მოსახლეობის იმ ფართო ფენებისთვის, რომლებზეც უარყოფითად მოქმედებს ხსენებული ეკონომიკური არასტაბილურობა. ახლო წარსულში, გენდერულმა მეინსტრიმინგმა ხელი შეუწყო რესურსების გამჭვირვალე, მიზანმიმართული და, შესაბამისად, მეტად ეფექტური და პერსპექტიული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოვლენას. მომავალი გვიჩვენებს, გახდება თუ არა რესურსების ნაკლებობა გენდერული მეინსტრიმინგის ხელშემწყობი ფაქტორი თუ სტრუქტურული ბარიერი გენდერული მეინსტრიმინგის სისტემატური და ფართომასშტაბიანი განვითარებისთვის. ასევე არსებობს ალბათობა, რომ შემცირებებს ძლიერი გენდერული მიკერძოება ჰქონდეს ან, უფრო სავარაუდოდ, რომ სამართლიანი თანასწორობის პრინციპი კვლავ იმოქმედებს.

ასევე გასათვალისწინებელია ახალი საფრთხეც: ჩვენი შთაბეჭდილებით, ხდება გენდერული თანასწორობის საკითხის გარკვეული მარგინალიზაცია. „ქალთა საკითხები უკვე მოგვარებულია“ და დამგეგმავებისთვის საინტერესო გახდა ახალი ჯგუფები: ბავშვების შემდეგ ახალგაზრდები მოექცნენ ყურადღების ცენტრში, ახლა კი ყურადღება

მოხუცებსა და მიგრანტებზე უნდა იყოს გამახვილებული. ამ დისკურსებში გენდერული პერსპექტივის ხაზგასმა ასევე აუცილებელია.

კულტურის შეცვლას დრო სჭირდება და წარსულს რომ გადავხედოთ, მიღწევები იმაზე დიდია, ვიდრე თავიდან წარმოვიდგენდით. სულ რაღაც 20 წლის წინ, როდესაც ხდებოდა შიდა შეფასება გამოფენისთვის „ვის ფლობს საჯარო სივრცეს – ქალთა ყოველდღიურობა ქალაქში“, ჩვენ განყოფილებაში მივიღეთ კოლეგის შემდეგი წერილობითი კომენტარი: „თუ ეს გამოფენა განხორციელდება, მოვითხოვ ქალაქში ძაღლის ან კანარის ჩიტების საკითხებზე გამოფენის მოწყობასაც“.

ტროტუარის მინიმალური სიგანის 2-მეტრიანი სტანდარტი „ტრანსპორტის ზოგადი პრინციპების“ სახელმძღვანელო მითითებებში 1994 წელს იქნა შეტანილი, მაგრამ მის სრულად დანერგვას დასჭირდა ათი წელი და ჩვენი აქტიური საქმიანობა გენდერული და ქვეითების მოძრაობის სფეროში. ოცწლიანმა მოღვაწეობამ საზოგადოების დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. დაინერგა დაგეგმვის ახალი, უფრო ჰოლისტიკური მიდგომები და შეიქმნა შესაბამისი ინსტრუმენტები. სწორედ ამ საშუალებებით გახდა თვალსაჩინო სამართლიანი, ინკლუზიური და გენდერულად სენსიტიური ქალაქის კონტურები.

მოვლენათა ქრონოლოგია

1991 წ. სექტემბერი/ოქტომბერი: გამოფენა – „ვინ ფლობს საჯარო სივრცეს? – ქალთა ყოველდღიურობა ქალაქში“ – 4000 სტუმარი.

1992 წ. აპრილი: დაარსდა ქალთა ბიურო – 57-ე მუნიციპალური დეპარტამენტი. ევა კაილი, ქალაქგეგმარების სპეციალისტი, მისი პირველი ხელმძღვანელი გახდა.

1994 წ. 2 თებერვალი: ჟიურის შეხვედრა ქალაქის განვითარების კონკურსისთვის Frauen-Werk-Stadt I (რჩება ყველაზე დიდ გენდერულად სენსიტიურ საბინაო პროექტად ევროპაში).

1995 წ. მარტიდან: დეველოპერთა კონკურსების მუდმივი ჟიურის შექმნა. ისინი სავალდებულოა დიდ ფართობებზე მსხვილ ტერიტორიებზე გათვლილი სუბსიდირებული საცხოვრებლის პროექტებისთვის. გენდერული სენსიტიურობის კრიტერიუმები პროექტის ხარისხის შეფასების ნაწილია. ევა კაილი ხდება ჟიურის წევრი, როგორც გენდერის ექსპერტი.

1995 წ. შემოდგომა: ქვეყნდება დაგეგმარების რეკომენდაციები – „სახელმძღვანელო მითითებები უსაფრთხო ქალაქისთვის“.

1997 წ. სექტემბერი: მაცხოვრებლების შესახლება Frauen-Werk-Stadt I-ში.

1998 წ. ივნისი: ქალაქის ადმინისტრაციის ტექნიკური მომსახურების განყოფილებაში იქმნება „ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და განსაკუთრებულ საჭიროებებზე ორიენტირებული ურბანული დაგეგმვისა და მშენებლობის საკოორდინაციო ბიურო; მენეჯერი ევა კილი, თანამშრომელი – კლაუდია პრინც-ბრანდენბურგი.

1999 წ. ივლისი: ჟიური იკრიბება ორი პარკის („აინზიდლერპარკისა“ და „წმინდა იოხანის პარკის“) გადაგეგმარების პირველი გენდერულად სენსიტიური კონკურსისთვის.

2000 წ. მაისი: ვენის სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია, მასში შედის სტრატეგიული პროექტი „გენდერულად სენსიტიური პარკები, სპორტული მოედნები და სათამაშო მოედნები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ვენის მუნიციპალურ რაიონებში“.

2000 წ. სექტემბერი: პირველი აქტივობები გოგონების ჩართულობით ოდეონპარკისა და დუნაის არხის მიმდებარე ტერიტორიის დაპროექტებაში.

2000 წ. დეკემბერი: ჟიურის შეხვედრა Frauen-Werk-Stadt II-ის განვითარების კონკურსისთვის, რომლის მიზანია „ცხოვრება მოვლით ხანდაზმულ ასაკში და ორიენტაცია სამეზობლოში“.

2002 წ. მაისი: იწყება კონფერენცია ტრანსპორტირების გენერალური გეგმისათვის; ევა კაილი ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის „საზოგადოებრივი სივრცე“.

2002 წ. აგვისტო: გენდერული მეინსტრიმინგის 20-ვე ფლაგმანური რაიონის პოლიტიკური კომიტეტებს ბარდება გენდერული მეინსტრიმინგის ტერიტორიების რუქები, რომლებიც ასახავენ საფეხმავლო ქსელის ხარისხსა და ნაკლოვანებებს.

2002 წ. ნოემბერი: გენდერული მეინსტრიმინგის საპილოტე პროცესის დაწყება: რაიონი მარიჰილფი ხდება საპილოტე რაიონი გენდერული მეინსტრიმინგისთვის.

2003 წ. ნოემბერი: საგზაო მოძრაობის გენერალური გეგმის დამტკიცება.

2004 წ. ივლისი: ელიზაბეტ ირშიკი ხდება საკოორდინაციო ბიუროს მეორე თანამშრომელი.

2004 წ. აგვისტო: მაცხოვრებლების შესახლება Frauen-Werk-Stadt II-ში.

2005 წ. ივლისი: შემუშავდა გენდერულად სენსიტიური პარკების დაგეგმარების რეკომენდაციები პარკებისა და ბაღების დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

2006 წ. იანვრიდან: გენდერული მეინსტრიმინგისთვის ყოველწლიური ფლაგმანური პროექტების შერჩევა ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის რვა დეპარტამენტის წლიური სამუშაო პროგრამებიდან – დაახლ. 50 პროექტი 2012 წლამდე.

2006 წ. მაისი: ჟიურის შეხვედრა რუდოლფ ბედნარის პარკის პროექტზე.

2007 წლიდან: სათამაშო მოედნებისა და პარკების გენდერულად სენსიტიური დაგეგმარების რეკომენდაციები სახელმძღვანელო პრინციპები პარკებისა და ბაღების დეპარტამენტის დაგეგმარების ოფიციალური სახელმძღვანელოს ნაწილი გახდა.

2007 წ. მაისი: გამოფენა და სიმპოზიუმი გამოფენის „ვინ ფლობს საჯარო სივრცეს – ქალთა ყოველდღიურობა ქალაქში“ მოწყობიდან 15 წლის აღსანიშნავად.

2008 წ. თებერვალი: ჟიურის შეხვედრა ტერიტორიის განვითარების კონკურსისთვის „კამპუსის კომპლექსი ჩრდილოეთ რკინიგზის სადგურიში“.

2009 წ. გაზაფხული: გამოფენა „თანასწორი საერთო ქალაქი – სამართლიანი საერთო საჯარო სივრცის მაგალითები“, რომელზეც ნაჩვენები იყო გენდერული მეინსტრიმინგის საუკეთესო რაიონისათვის დაწესებული ჯილდოს მნიშვნელობა.

2009 წ. ბოლოს: მაცხოვრებლების შესახლება ქალთა საცხოვრებელ კომპლექსში “ro*sa”.

2010 წლიდან: საკოორდინაციო ბიუროს ექსპერტები მოიწვიეს სამშენებლო და ტექნოლოგიების აღმასრულებელ ჯგუფში და ურბანული დაგეგმარების, სამშენებლო და კეთილმოწყობის ჯგუფებში.

2010 წ. გაზაფხული: Meidlinger Hauptstraße-ის სოციალური სივრცის პირველი ანალიზი.

2010 წ. მარტი: ჟიურის შეხვედრა ცენტრალური სადგურის პარკის პროექტზე.

2010 წ. სექტემბერი: ჟიურის შეხვედრა Meidlinger Hauptstraße-ს გადაგეგმარების კონკურსისთვის.

2010 წ. შემოდგომა: ვენის საჯარო სივრცის ხედვის პრეზენტაცია; Marahilfer Platzl-ით სარგებლობის შეფასება – მისი დაპროექტების კონკურსი სანიმუშო გენდერულ პროექტს წარმოადგენდა.

2011 წ. თებერვალი: ჟიურის შეხვედრა ცენტრალური სადგურის კამპუსის კომპლექსის ადგილმდებარეობის შერჩევის კონკურსისთვის, რომელიც Campus Nordbahnhof-ის ფლაგმანური გენდერული პროექტის საფუძველზე მიღებული გამოცდილების შედეგად შემუშავებულ სივრცით სტანდარტებსა და „ხარისხის კატალოგს“ ეფუძნება.

2012 წ. შემოდგომა: შეიქმნა გენდერული მეინსტრიმინგის, სოციალური სივრცის ანალიზისა და თანამონაწილეობის სახელმძღვანელოები.

ლიტერატურა

ქალაქი ვენა, ურბანული დაგეგმარება და განვითარება (MD 18). 2013 წ. „Handbuch Gender Mainstreaming in der Stadtplanung und Stadtentwicklung“, Werkstattbericht no. 130, ვენა. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.wien.gv.at/stadtentwicklung/alltagundfrauen/.

დეტალური ინფორმაცია ქალაქ ვენაში გენდერული მეინსტრიმინგის აქტივობების შესახებ გაეროს მონაცემთა ბაზა Un-Habitat-ში: „სამართლიანი საერთო ქალაქი“. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unhabitat.org/bp/bp.list.details.aspx?bp_id=1137.

გენდერული მეინსტრიმინგისთვის საპილოტე უბანი. ხელმისაწვდომია ბმულზე:

http://www.unhabitat.org/bp/bp.list.details.aspx?bp_id=60 .

გენდერულად სენსიტიური პარკის დაპროექტება. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unhabitat.org/bp/bp.list.details.aspx?bp_id=2404.

Irschik, E., Kyle, E., and Prince-Brandenburg, K. 2009 წ. „10+1 Years of Alltagsund "French Planes and Flowers": ქალაქ ვენის ადმინისტრაციის გამოცემა. მშენებლობისა და ტექნოლოგიების აღმასრულებელი ჯგუფი, ვენა.

Kail, E. 2007 წ. Frauengerechter Wohnbau und Wohnbauförderung in Wien: Zwei Modellprojekte und 11 Jahre systematische Qualitätsprüfung-ein Erfahrungsbericht”: გამოცემაში „საცხოვრებელი“, Studienverlag Innsbruck, 215-39.

Kail, E. და Zech, S. 2011 წ. *„ვენაში სახელმწიფო სივრცის დაგეგმვისა და განხორციელების სტრატეგია“*: გამოცემაში *„გასეირნება ქალაქში – საზოგადოებრივი სივრცის გაზიარება“*, გამომცემლობა Parenthèses, 170-91.